


საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 აპრილი, 2015 წელი.

№72 (7717)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

SIC! ასალაბებანი დროზე უნდა აილაბონ! SIC!

რაც ისტორიის სანაგვეზე ავად მოყვლებულ ნაციონალთა ერთმა ჯგუფმა 20-21 აპრილს გურჯაანში ჩაიდინა, ამას არც ერთი თავმოყვარე ხელისუფლება უპასუხოდ არ დატოვებს. თანაც ეს პასუხი რაც შეიძლება სწრაფი და მკაცრი უნდა იყოს.

ეს უკვე სახელმწიფოში ხელისუფლების ძალადობის გზით დამსობის უტიფარი მცდელობა იყო, რასაც თუნდაც საერთო-სახალხო რეფერენდუმი უნდა მოჰყვებოდა, რომლის ერთადერთი მიზანი იქნება ნაციონალთა, როგორც მანვე პოლიტიკური ძალის, ყოფნა-არყოფნის საკითხი.

დაე, ხალხმა თავად გადაწყვიტოს, კვლავ ასე თავხედურად უნდა იბოგინონ უკვე ნილაბანდობა პროვოკატორმა და დემაგოგმა სააკაშვილისტებმა თუ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი ამ ცხადად ანტისახელმწიფოებრივ სექტას, რომელმაც ათწლიანი ძალადობა არ გვაკმარა და კვლავ ყოველდღიური შხამის ნთხევით გვიწამლავს, მართლაც, ჯერ ისევ შეჭირვებულ, მაგრამ რამდენადმე უტყუარი დემოკრატიის კალაპოტში მიმდინარე ცხოვრებას.

ნაციონალური მოძრაობის მიერ შორს გამიზნულად შექმნილი ვითომდაც ანტიკორუფციული კომისია რაიონის მართლმადიდებელი დეპუტატის გიორგი ღვინიაშვილის ფიურერობით იმუქრება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას საქართველოს ყველა რეგიონში შეისწავლის, რადგან, როგორც პარტიის წევრები აცხადებენ, „ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განვითარების ნაცვლად საქართველო უკან წავიდა: ეკონომიკური ზრდა შეჩერდა, ბიუჯეტი გაიზარდა, გაიზარდა კრიმინალი“. სწორედ ამიტომ ნაციონალური მოძრაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით იწყებს ანტიკორუფციული კომიტეტების ჩამოყალიბებას (SIC!).

ანტიკორუფციული კომიტეტების მეშვეობით გაშმაგებული ნაციონალური შეეცდებიან კორუმპირებული ხელისუფლების იმიჯის ფორმირებას, შესაბამისი ინფორმაციული პროპაგანდისტული და ფსიქოლოგიური სურათის შექმნას, რომ ის არის კორუმპირებული, რათა ამის საფუძველზე დაიწყონ აქტიური ქმედებები ხელისუფლების დასამხობად. ეს მეთოდოლოგია ძალიან კარგად არის აღწერილი ყველა სახელმძღვანელოში, რომელიც არაძალადობრივი გზით რევოლუციის მოწყობის სქემებს ეხება.

ნაციონალურ მოძრაობაში არიან ადამიანები, რომლებსაც ეს ყველაფერი ზედმინ ევნი აქვთ შესწავლილი. კორუმპირებული მთავრობის წინააღმდეგ კი რევოლუციურ გამოსვლებს მეტი ლეგიტიმაცია ექნებათ, ეს კარგად აპრობირებული სტრატეგიული სცენარია. ზუსტად ისეთივე შეფუთვით მოხდება ამის მიწოდება ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებისთვის, როგორც 2003 წელს.

ნაციონალური მოძრაობა შეეცდება ამ საქმეში ჩართოს სხვა პოლიტიკური მოთამაშეები, როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება მათი სიტუაციური მოკავშირეები აღმოჩნდნენ.

ნაციონალური მოძრაობის ხელნერა



ხელისუფლება, თუ მართლა ხელისუფლება ხარ, იხელისუფლე!

20-21 აპრილს „შვიდი გურჯაანელი“. ოღონდ ამაჟიროდ ნასიონალი ზონდარები გიორგი ღვინიაშვილის ფიურერობით. კახეთს შხამიწენ და ლაფდასხეული თაპი კიდეც ერთხელ წარმოაჩინეს

თითქმის იგივეა, რაც შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ ჰქონდათ. ამ კონკრეტული კამპანიის კონკრეტული მიზანია როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით ხელისუფლების კორუმპირებულობაში დადანაშაულება. შესაბამისად, ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი გენერალური ხაზი საარჩევნოდ.

როგორც ცნობილია, ნაციონალური მოძრაობის პარალელურად, ანტიკორუფციული კომიტეტი შექმნეს ლონდონში გადაცხოვრებულმა რუსმა ბიზნესმენებმა, მიზანი ამ შემთხვევაშიც ანა-

ლოგიურია. გამოცემა „სანდი თაიმის“ ინფორმაციით, კომიტეტი უახლოეს მომავალში 50 კორუმპირებული ჩინოვნიკის დასახელებას აპირებს. დასახელება ვლადიმერ პუტინის გარემოცვის იმ წევრების ვინაობა, რომლებმაც არაკანონიერი გზით მილიონები მიიღეს და თანხა საზღვარგარეთის ბანკებში დააბანდეს.

პოლიტოლოგთა აზრით, დიდი დრო არ დაგვირდება იმის გასარკვევად, რამსგავსებაა რუსულ და ქართულ ინიციატივებს შორის. რუსები საკუთარ ჯიბეს ამომნებენ, ნაციონალური კი სხვის



ჯიბეში ხელისუფლების ფაქტორის იდეით არიან შეპყრობილი.

დიდი დრო არ დაგვირდება არც იმის გასარკვევად, რა განსხვავებულ საფუძვლებზეა დამყარებული რუსული ინიციატივა ლონდონში და ნაციონალური მოძრაობის ინიციატივა საქართველოში. თუმცა, ნაციონალური მოძრაობა რაიმე სასიკეთოს თავისი თავისთვის ვერ მოიმკის, გარდა კარგად დადგმული ისტერიული საინფორმაციო ველის წარმოჩენისა.

უკვე აშკარად ჩანს, რომ ძალაუფლების კვლავ ხელში ჩასაგდებად ნაციონალური ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. მალე, ალბათ, იარაღსაც აისხამენ და ყოველგვარ სიბინძურეს იღონებენ, რათა 2016 წლის არჩევნებამდე საქართველოში სამოქალაქო ომი გააჩაღონ და თუ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, ომის ცეცხლზე კარგა გვარიანად ხელი მიიხეცეზონ.

ამასობაში კი პატიოსანი ხალხის მოთმინების ფიალამ ზღვარს მიიღწია და მოთმინებადაკარგული ხალხი უკვე ხმამალა აცხადებს ამჟამინდელი ხელისუფლების გასაგონად:

ნუთუ თქვენს თავმოყვარეობას არ შეურაცხყოფს ის იარაღი, რასაც თქვენგანვე აგრერიგად გათავხედებული ნაციონალური ყოველდღიურად პირდაპირ შუბლზე განებენ?

თქვენი გადაუდებელი ვალია, სანამ ძალაუფლებას ხელიდან გამოგაცილებდნენ, უკეთუ მართლა უუნარონი და უნიათონი არა ხართ, როგორც კანონიერ და თავისი სიმართლით ძლიერ ხელისუფლებას ეკადრება, დროულად და მთელი კანონიერი სიმკაცრით გააცნობთ თავი ამ მართლაც თავზეხელაღებულ პოლიტიკურ სექტას.

ნუ დაემგვანებით მართლაც უნიათო და უუნარო ლიბერალურ იანუკოვიჩის მთავრობას, რომლის პოლიტიკურ უსუსურობასაც ქვეყანაში აშკარად ფაშიზმი და ნაციონალიზმი მოჰყვა.

ყური ათხოვეთ დასავლეთსაც, აღმოსავლეთსაც, მაგრამ ნურასოდეს ნუ დაკარგავთ თქვენს ეროვნულ მეობას და ნურც ნურასოდეს ნუ იგულმავინყებთ, რომ ამ ჩვენი ეროვნული მეობის სათავეში დიდი დავით აღმაშენებელი დგას, რომელიც ქვეყნის გადარჩენის ძალას ყოველთვის თავისდავე ხალხში პოულობდა და არსაიდან, არც აღმოსავლეთიდან და არც დასავლეთიდან, არ ელოდა მაშველი რგოლის გადმოგდებას.

დრო აღარ ითმენს, როგორც იტყვიან, ცაიტნოტში ხართ. დამნაშავე ნაციონალური შეტევაზე არიან გადმოსულნი... დემოკრატიზაციის თამაშის დრო ნამდვილად აღარ არის!

ნუთუ ასე ძნელია იმის მიხედვრა, რომ საქართველოს დღეს იდეოლოგიურად „რუსთაი-2“-ის ნაციონალური შავი ყუთის სხვა განაგებს, რომლის გადამფარავი სხვა უფრო ძლიერი ხმა, დიდად სამსუხაროდ, ჯერ-ჯერობით კიდეც არ ისმის!

საქართველოს სახელმწიფო სომალდს ფრიად სასიფათო ქარიშხალში უწევს სვლა, თუ ამას მართლა სვლა ეთქმის!

ნუთუ ხელისუფლებამ კომპასი დაკარგა და ამით მოსარგებლედ ბოროტი მონიანაღმდეგეც, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ ბუდავს დაუკრეფავში აგრერიგად თამამ ლაჯუნსა და ბოტებს!

წარმატებული მინისტრი გადადგა

მთავრობის წევრები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე დავით შავლიაშვილის საქმიანობას წარმატებულად აფასებენ. მინისტრები გამოიხატეს, რომ შავლიაშვილი გადადგომის თაობაზე გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მის საქმიანობასთან დაკავშირებით აღმასრულებელ ხელისუფლებას კითხვები ჰქონდა.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე, დავით შავლიაშვილის ნოდარ ჯავახიშვილი შეცვლის, — აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა დაადასტურა. მისივე თქმით, ნოდარ ჯავახიშვილთან დაკავშირებით კონსულტაცია გუნდში უკვე გაიარა.

დავით შავლიაშვილი გადადგომის თხოვნით საქართველოს პრემიერ-მინისტრს გუშინ მიმართა.

„გადაწყვეტილება მინისტრ დავით შავლიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია“, — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დავით შავლიაშვილი მინისტრად 2014 წლის ივლისიდან მუშაობდა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, დავით შავლიაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ აქამდე არ გაუგია და ახლა პრესისან გაიგო პირველად. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს შავლიაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით დასამუღ შეკითხვაზე უპასუხა.



„ბატონ დავითს ჩემთვის ადრეც ჰქონდა ნათქვამი, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა მას ხელს უშლიდა მუშაობაში და აპირებდა წასვლას. ძალიან ვწუხვარ, რომ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო. ის ჩემი მეგობარია და დარჩება ჩემს მეგობრად. რაც შეეხება მის საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე კითხვებს, არავითარი კითხვა არ არსებობდა. ბატონი დავითი საკმაოდ ეფექტურად უძღვებოდა თავის საქმეს. ის ღირსეული ადამიანია, მას უბრალოდ ჯანმრთელობამ არ შეუწყო ხელი“, — განაცხადა სასაგარეო ურთიერთობების მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა.

დავით შავლიაშვილის საქმიანობა დადებითად შეაფასა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც. როგორც სერგეენკომ განმარტა, მის უწყებას რეგიონული განვითარების სამინისტროსთან რამდენიმე პროექტთან დაკავშირებით მოუწია მუშაობა.

დავით შავლიაშვილის გადადგომის ოფიციალური მიზეზის სჯერა განათლების მინისტრსაც. თამარ სანიკიძე არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ შავლიაშვილის მიერ თანამდებობის დატოვება შესაძლოა მის საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს უკავშირდებოდეს.

ბიძინა ივანიშვილი:

თუ სახელმწიფო გვაქვს, ყველანი უნდა დავემორჩილოთ რაღაც თამაშის წესებს, მათ შორის, პრეზიდენტიც



ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, უნდა გადავიდეს თუ არა პრეზიდენტი ათონელის რეზიდენციაში. მისივე თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას 10 000 კვ/მ-ის ფართობი უკავია, რაც ჭარბი ფართობია. „რომც არ უჭირდეს სახელმწიფოს, ჭარბი ფართი მაინც არ უნდა გვქონდეს“, — განაცხადა ივანიშვილმა და აქვე აღნიშნა, რომ ჩვენ საკმაოდ გაჭირვებული სახელმწიფო გვაქვს.

პრეზიდენტიც ზედმეტია?!

გაუშვდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რადგან ზედმეტი ხარჯია ჩვენი ქვეყნისთვის, — ზოგადად ასეთი დასკვნა გამოიტანა საზოგადოებამ, რადგან აკვირებულმა დამოკიდებულებამ ამ ინსტიტუტის მიმართ, ბევრი გააღიზიანა. წარმოიდგინეთ, რამდენი ჯდება პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის შენახვა, ამის საფასურად რას გვიკეთებენ, ჩემო მეგობრებო, ქვეყნისთვის ან მოქალაქეებისთვის? — სმაურობენ სოციალური ქსელის მომხმარებლები.

პრეზიდენტს ავლაბრის რეზიდენციაში შებრძანების გამო „პასუხისგება“ რომ მოუწევდა, ეს თავიდანვე ცხადზე უცხადესი იყო. ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებდა პრემიერი ივანიშვილი, გამოსულიყო ავლაბრის სასახლიდან და კანცელარიაში დაედო ბინა: „მას შეუძლია გადმოვიდეს კანცელარიაში მე-11 სართულზე, სადაც ზუსტად იგივე ფართობია, რაც პრემიერ-მინისტრისთვის არის გამოყოფილი. ეს სართული დალუქულია. კეთილი ინებოს და აქ გადმოზრძანდეს“, — თავისთან

ასახლებენ, ასახლებენ!



ბოროტების ბუდიდან...



ნებრივია, არ ურჩევს მარგველაშვილს, დატოვოს ფეხებზე ლური სასახლე და ათონელზე „მოკრძალებულ“ შენობაში გადაზრძანდეს... მაგრამ კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის ეს ნაბიჯი სრულიად ეროგოზური იქნებოდა... მიზეზი ერთადერთია — რეზიდენციის შენახვა ძალიან ძვირი ჯდება, მით უმეტეს, გაცხადებული „ქამრების შემოჭრის“ ფონზე, მით უფრო, რომ ალტერნატივა არსებობს — ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენცია, რომელიც მოქმედი პრეზიდენტის გეგმებით გადაკეთდა და გარემონტდა. უმრავლესობის წევრი გაია ვოლსკი მარგველაშვილს ახსენებს, თუ როგორ უნოდებდა ის თავის დროზე ავლაბრის რეზიდენციას „ბოროტების ბუდიდან“ და მასში შესვლა ვერ წარმოედგინა. „ახლა გამოსვლა ვერ წარმოუდგენია და ეს მაკვირვებს, რადგან პრეზიდენტს თავის ფუნქციათა შორის საზოგადოებაში სიმშვიდის, საზოგადოებრივი თანხმობის, სტრუქტურულ შორის ურთიერთობების, კონსტრუქციულობის ვალდებულება აქვს, რასაც გიორგი მარგ-

ველაშვილი სამწუხაროდ, არ ასრულებს“, — აცხადებს გაია ვოლსკი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ შარშან ოფიციალურად დაადასტურა, რომ ავლაბრის რეზიდენციის დატოვებას არ აპირებდა. თუმცა, თუ მთავრობა კონსტიტუციის მუხლებს აამოქმედებს, სრული უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს, დატოვებს თუ არა პრეზიდენტს სასახლეში. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის თქმით, სწორედ მთავრობის პრეზიდენტის წარმოადგენს რეზიდენციის საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება.

„კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება თავისი ადმინისტრაციის ადგილსამყოფელის განსაზღვრა. საკითხი დარეგულირდება კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ქონების განკარგვა და მართვა მთავრობის ვალდებულებაა“, — განმარტავს კობახიძე.

იურისტ კახა კოჭორიძეს უფრო მკაცრი შეხედულებები აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. „ეს შენობა არის სახელმწიფო საკუთრება, პრეზიდენტი კი სახელმწიფოს მეთაურია. ამ მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, მართლაც გასაოცარია, რომელიმე სხვა უწყებამ, სტრუქტურამ დაგვემოს პრეზიდენტის ინსტიტუტის გადატანა პრეზიდენტის ნების საწინააღმდეგოდ“, — ამბობს ის.

ასე იყო ადრე, მაგრამ 2013 წლის შემდეგ პრეზიდენტი აღარ არის ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ლიდერი. ეს არის არსებითი ცვლილება, რომელიც სხვადასხვა სახით უნდა აისახოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, — აღნიშნავს კონსტიტუციონალისტი.

პრეზიდენტის იცის და იცოდა ყოველთვის, რომ პრეზიდენტის ასეთი ფუნქციონალიზაცია რეზიდენცია დიდი ფუფუნებაა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ჯიუტი, გაბრაზებული ბავშვივით მოიქცა. ახლა რა იქნება?

ოდნავ გონიერი კაცი საკუთარი ნებით უნდა გამოვიდეს ბოროტებისა და გარყვნილების ბუდიდან!

თეა მოსია

აბა, ჰა!

გადადებით, გადადებით!

ახლახან რუსთავეში, მეგობრობის გამზირის მიმდებარე უმშვენიერესი ხეივნის დასაწყისში საზეიმოდ გაიხსნა ქვემო ქართლის არქივის ულამაზესი მრავალსართულიანი შენობა.

ნაციონალ ხელისუფალთ „ამაგი“, არ უნდა დაუკარგოთ, მშენებლობა მათ დაიწყეს, ოღონდ — პროკურატურისათვის, სარდაფიც ამოიყვანეს, მონოლითით გადახურეს, როგორც ირწმუნებინ, იქ საკან-სანამებელი უნდა ყოფილიყო, მათთვის არასასურ-

ველთათვის, ე.ი. ჩვენთვის, ჩაგვეყრიდნენ შიგ და...

არ გაუმართალთ, ნაძირალე ბის ხელისუფლება ჩაიშალა, და რაკი მშენებლობა დაწყებული იყო, რასაც ათეულობით ნახევარსაუკუნოვანი ფიჭვი, ნაძვი და კედარი შეენირა, გადანყვიტეს, საძირკვლისთვის პროექტი მოერგოთ (რა თქმა უნდა, მონოლითის სახურავის მონგრევით) და ფრიალ აუცილებელი სამხარეო არქივის შენობა აღემაართათ.

თქვეს და გააკეთეს, უნდა ვალიაოთ, ახალი შენობა ქალაქს მოუხდა.

რომ შევიტყვეთ, არქივი გაიხსნებო, მე და ჩემი ვეტერანი მეგობრები მივედით, მაგრამ იქაურობა მიუდგომელი დაგვხვდა. დაცვა ხომ იყო, პოლიციელების ალყაშიც მოემწყვდიათ. შიგ მონოლითური კარები, მაგიდა, სკამები დაედავოთ სტუმართათვის სხვადასხვა სასმელებით.

რა თქმა უნდა, რაკი მიწვეუ-

ლები არ ვიყავით, არც ჩვენ: ასაკს, არც ერისა და ქვეყნის წინაშე ჩვენს ნამსახურობას არ ვაკადრეთ ღობის მიღმიდან გვეყურებინა საზეიმო ცერემონიალისათვის და დავიშალენით.

აი, მერე მოხდა თურმე რაც მოხდა, როდესაც პრემიერი ღარიბაშვილი, მინისტრი ნულუკიანი და მათი მხლებელნი ჩამობრძანდნენ, იქაურობას ადგილობრივი მთვრალი ნაცები და მათი ბელადები მოადგნენ შექაზილებით, აი, სოფლად ტუ-

რებმა რომ იციან კვილი-კნავილი, ეგრე მიადგნენ: „გადადებით, გადადებით, თქვე უუნაროებო, გადადებით“.

ცერემონიალი ხანმოკლე იყო. დასრულდა თუ არა, საზეიმო მუშხუნები აიჭრა ზეცაში, ბათქი-ბუთქი, ნაციონალებს მოჩვენებით, ალბათ, ჩვენებური მეთოდით გვიმასპინძლებდნენ, ავტომატებს ცვიუნენო. ჰოდა, ისე მოუკურცვლავთ თურმე, ვინ ვის ასწრებდა, ვინ თხრილში ჩავარდა და ვინ ბურქს შეერია, ვერ გაიგებდით, ხარხარებდნენ მნახველები.

გივი ჯახუა

თვალსაზრისი

„რალას ქალიან დალკა ვედიის საპეოოვი“ ...

„ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მედიამ, უწინარესად, ტელევიზია უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ის, რაც ქართულ ტელევიზორებში ყველაზე მეტად დალბა, დებატებია.

საინტერესოა, თვითონ გრიგოლიას ან გაბუნიას არ მოზებრდათ ერთსა და იმავე პოლიტიკოსებთან და „პუბლიცისტებთან“ „წრეზე ტრიალი“?!

ხალხის აზრი ოდნავადაც არ აინტერესებთ? ვერ ხედავენ იმას, რაც სოციალურ ქსელში ხდება?!

წეროს, რამდენიც უნდა, ნინო კვაჭანტირაძემ, დავიდალეთ ამ ტიტყვებისგანო...

ეძახოს, რამდენიც უნდა, რევაზ ამაშუკელმა გაბუნიას კონჩიტა...

საკუთარ „ყეფაზე“ აღარას ვიტყვი...

ისინი, თავისას აგრძელებენ (უმეტესობა იტყოდა, მიერეკებინარო)...

რაც შეეხება „იმედის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელებს, მაყურებლის აზრი მეტად ორიგინალურად „გაითვალისწინეს“: გადაცემას („იმედის კვირას“) ყველაზე ნაკლებ შემანუსუხებელი წამყვანები ჩამოაშორეს. სხვა საკითხია, რომ მათი იქ ყოფნა არაფერს ნიშნავს, რომ დუტა სხირტლაძეს „იმედის“ სიანდოვსაც ვერ უნდა ჩაეგლო, რომ გადაცემის რეიტინგს ისინი მართლაც ვერაფერს ჰმატებდნენ, თუმცა, ნანიკო ხაზარაძეზე ამას ზოგადად ვერ ვიტყვით.

არიან წამყვანები, რომლებიც რეიტინგს უტიფრობით კი არა, უნიფხობით სძენენ. მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ მე მხოლოდ ვახსენებ, ისინი კი აჩვენებენ, ანდა რომ არ აცვიოთ, იმას გვიჩვენებენ.

დებატები კი უკვე მართლაც აუტანელია. ყველაფერი წინასწარ იცო: იგი, რომ მანანა კობახიძე ნებისმიერი სქესის ნაციონალს დაჯგობნის, რომ ირაკლი სესიაშვილი გიორგი ბარამიძის უტიფრობას ბოლომდე ვერ გაუმჯობავდება ...

შემზარავია იმის გაფიქრება, რომ ამიერიდან დებატებში ცუდად დავინყებულნი ვაპ ხერხულიძეც უნდა ვიხილოთ.

ზემოთ „პუბლიცისტები“ ვახსენეთ.

აქ, უწინარესად, ნათია მეგრელიშვილი და მათა ორჯონიკიძე უნდა ვიგულისხმოთ.

პუბლიცისტები ყოფილან(?)!

ნეტა ის თუ მაინც იციან, პუბლიცისტიკა რა არის?!

იქნებ მეგი გოცირიძეც პუბლიცისტიკა?!

როგორ გაიოლებულა პუბლიცისტობა ილიას ქვეყანაში?!

ილიას მკვლელობაზე დოკუმენტური ფილმისთვის პატრიოტული მოტივით არ მიყურებია, უბრალოდ, კოტე თოლორაძეას გამო ვუყურებ, — განაცხადა „პუბლიცისტიკა“ მეგრელიშვილიმა.

მოდი და ნუ უწოდებთ პუბლიცისტს?!

ორჯონიკიძის „პუბლიცისტიკაზე“ საუბარს არ ღირს!

გამოსავალი?

იქნებ დებატების ფორმატის შეცვლაზე მაინც ეფიქრათ?

იქნებ ის აჯობებდა, დებატები ასე წარმართულიყო: ერთ მხარეს ნაციონალური მოძრაობის (უმცირესობის) წარმომადგენელი, მეორე მხარეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, შემდეგ კი — პირიქით. ალბათ, კიდევ უფრო სასარგებლო იქნებოდა მმართველი გუნდის წევრთა დებატები საკუთარსავე ამომრჩეველთან.

საზოგადოებას კარგა ხანია, აღარ აინტერესებს, რას ეტყვიან ერთმანეთს ნაციონალისტების წარმომადგენელი და „ქართული ოცნების“ დებუტატი („შენ თვითონ ეგეთი“ და მისთანანი), გაცილებით მნიშვნელოვანია, რას უპასუხებს მმართველი გუნდის წევრი საკუთარ ამომრჩეველს, ან როგორ მოიგერიებს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლის უტიფრობას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი.

ალბათ, უკეთესი ფორმატის მოფიქრებაც შეიძლება.

ფაქტია, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია.

ფაქტია, რომ „რალაც ძალიან დალბა დანიის სამეფოში“, ანუ ქართულ ტელევიზორებში...

იოსებ ჭუშუბურიძე



რატომ დუშს გუნდი?

„ხელისუფლების და ოპოზიციის ჩუმი უთანხმოება - პასუხისმგებლობა აპკიდონ ივანიშვილს!“



— გუნდის არც ერთი წევრი არ გამოსულა და არ უთქვამს, ვთანხმდებიან თუ არა ალასანიას შეფასებას ივანიშვილთან დაკავშირებით, რის გამოც გუნდი გააკრიტიკა ივანიშვილმა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ეს მთავრობის პასუხისმგებლობის მიზეზიც გახდეს?

— აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია გარდაუვალია. ხელისუფლება თუ გაჯოჯუტა და იმაზე იმუშავა, რომ ეს მთავრობა ამ შემადგენლობით შეინარჩუნოს, დამერწმუნეთ, რომ არჩევნებზე ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მათივე ინტერესშია აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია.

რაც შეეხება ივანიშვილის განცხადებას, ეს არ იყო კრიტიკულად ნათქვამი. ეს იყო გულდანყვეტილი პოზიციიდან ნათქვამი, რასაც აბსოლუტურად ვიზიარებ. დიაგნოზი ძალიან მარტივია — დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებებს, ძალიან ხშირად უშედეგ შედეგებს და ამ ყველაფერზე საზოგადოება პასუხისმგებლობას ბიძინა ივანიშვილს აკისრებს.

მათ იგრძნეს ეს კომფორტი და შეიძლება, არც სწყინოთ, რომ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობა ივანიშვილს ბრალდება. ძალიან არაკეთილსინდისიერად იქცევიან ბიძინა ივანიშვილთან დამოკიდებულებაში. ეს ყოველად წარმოუდგენელი უმადური საქციელია. დღეს ყველაზე მეტად ივანიშვილის მიმართ უმადურობას ავლენს თვითონ ხელი-სუფლება. ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელიც ყველას აკრიტიკებს. ის თავის მოსაზრებას ამბობს პირდაპირ. ვილაცხა ამას ეთანხმება, ვილაცა — არ.

— თუმცა, ფაქტია, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ კრიტიკაში მთავრობა მას არ გაპყვა, როგორც ეს პრეზიდენტის შემთხვევაში მოხდა...

— „თავისუფალი დემოკრატები“ ოპოზიცი-აში ბიძინა ივანიშვილთან კი არ არიან, ოპო-ზიცი-აში არიან მთლიანად ხელისუფლებასთან. როდესაც ეს ოპოზიციური პოლიტიკური ძალა გამოდის და ამბობს, ყველაფერი ერთი ადამიანია დამნაშავეო, ამ დროს ხელისუფ-ლება, რომელიც ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს, არ ცდილობს აკრიტიკოს ალა-სანიას, რადგან ეს კრიტიკა გულზე არ ხვდება. თვლიან, რომ ეს კრიტიკა მათთან არ არის კავშირში, შენ აშავებდე და პასუხისმ-გებელი სხვა იყოს, ნამდვილად კომფორტია.

ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ შეიძლება, ფორმალურად მაინც ამოიღონ ხმა, მაგრამ ამას უკვე დიდი დატვირთვა არ ექნება. პირდაპირ ვამბობ, რომ ძალიან სა-ხიფათო სიტუაციაა. როდესაც ივანიშვილზე პასუხისმგებლობის აკიდების ინტერესი აქვს არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ ხელი-სუფლებას, რაც ძალიან ცუდი სიტუაციაა.

ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელსაც უნდა უფლებები, მინისტრის კაბინეტში ჯდომა, შავი ჯიპები, დაცვით სიარული, მაგრამ პა-სუხისმგებლობის აღება არ უნდა.

— ანუ ხელისუფლება ცდილობს პასუხისმ-გებლობა მთლიანად ბიძინა ივანიშვილს აპ-კიდოს?

— ბუნებრივია. ნახეთ დღეს რა სიტუაციაა, ოპოზიცი-ა და სამოქალაქო საზოგადოება ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არის გა-დანყვეტილი მძიმე და, შესაბამისად,

ყოფილი პრემიერი „გაოცებულია“: მისი თანაგუნდელებიდან არავინ გამო-ენმაურა ირაკლი ალასანიას განცხადებას, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის მთა-ვარი პრობლემაა. ყოფილი პრემიერის ყოფილი მრჩეველი გაია ხუხაშვილი აცხა-დებს, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს, როდესაც მათ დანაშა-ულზე ოპოზიციისა და საზოგადოების მხრიდან მთელი პასუხისმგებლობა ივა-ნიშვილს ეკისრება.

რატომ დუშს ხელისუფლება და რატომ ვერ გაუწევს ალასანია კონკურენცი-ას „ნაციონალურ მოძრაობას“? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge გია ხუ-საშვილს ესაუბრა.

ის არის ყველაფერზე პასუხისმგებელი. ხე-ლისუფლება ამას არ აპროტესტებს, დასკ-ვნა ძალიან მარტივია — არის არა პირდა-პირი გარიგება, არამედ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არის ჩუმი შეთანხ-მება, რომ პასუხისმგებლობა აპკიდონ ივა-ნიშვილს.

— ბიძინა ივანიშვილი დღემდე აკრიტიკებს მარგველაშვილს, რამაც მარგველაშვილის რეიტინგი გაზარდა და ეს კვლევებაც და-ადასტურა, იგივე ხდება ალასანიასთან მი-მართებაში. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის მხრიდან ალასანიას ასეთი კრიტიკა ხომ არ ემსახურება იმ მიზანს, რომ ალასანია ოპო-ზიცი-აში ცენტრალურ ფიგურად იქცეს?

— არ მგონია. რაც შეეხება პრეზიდენტს, ჩვენ ესაუბრობთ საპრეზიდენტო ინსტიტუტზე, ანუ ძალაუფლების შტოზე. პრინციპში, ამ შემთხ-ვევაში სახელმწიფოებრივად ივანიშვილი თა-ვისი კრიტიკით ძალიან სწორია. ძალიან სა-სარგებლო საქმეს აკეთებს იმით, რომ პრე-ზიდენტის დამოუკიდებელი ინსტიტუტის არ-სებობას ხაზს უსვამს.

— თქვენ თვლით, რომ კრიტიკის მიზანია პრე-ზიდენტის, როგორც დამოუკიდებელი ინსტი-ტუტისთვის ხაზგასმამა?

— შეიძლება, მიზანი ეს არ არის, მაგრამ შედეგი არის ძალიან პოზიტიური. გარდა ამისა, გიორგი მარგველაშვილი არ არის პო-ლიტიკური მოთამაშე და არც აპირებს პო-ლიტიკაში თამაშს, მას არა აქვს გრძელვ-დიანი გეგმები. რაც შეეხება ირაკლი ალა-სანიას, ქართულ პოლიტიკაში მისი ადგი-ლი ძალიან ბუნდოვანია. თუ ელექტორატს სამ ნაწილად გავყოფთ — პირველი სეგმენ-ტი, ეს არის „ქართული ოცნების“ მხარდამ-ჭერები, მეორე — იმედგაცრუებული ადამი-ანები, რომლებსაც არ მოსწონთ არც მოქ-მედი და არც ყოფილი ხელისუფლება, მიაჩ-ნიათ, რომ ჩვენ გვყავს ცუდი ხელისუფლე-ბა, მაგრამ გვყავს კიდევ უარესი ოპოზიცი-ა. მესამე სეგმენტი, ეს არის აშკარად ოპოზი-ციურად განწყობილი ელექტორატი, რომე-ლიც ოპოზიცი-აში აკეთებს გარკვეულ არ-ჩევანს.

რაც შეეხება ოპოზიციურად განწყობილ სეგმენტს, რომელიც თვლის, რომ ჩვენ გვყავს ცუდი ხელისუფლება, მაგრამ უარესი ოპო-

მედიცინა

C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტები უფასო იქნება

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა. C ჰეპატიტის მკურნა-ლობის ახალი პროგრამის პრეზენტაციაზე გა-ნაცხადა. მისი განცხადებით, რამდენიმე დღე-ში საქართველოში შემოვა C ჰეპატიტის სამ-კურნალო პრეპარატის პირველი პარტია, რო-მელიც ვერ განსაკუთრებით მძიმე პაციენტ-ებისთვის იქნება განკუთვნილი.

„ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის საერთოდ ხელმიუწვდომელი იყო ჯანდაცვა სა-ქართველოში. ხშირად ოჯახები მკურნალობის-თვის, მათ შორის, C ჰეპატიტის ვირუსთან ბრძოლის დროს იძულებული იყვნენ, აეღოთ სესხი ან სულაც გაეფიქრათ საკუთარი სახლი, რაც ოჯახების ცეცხლს უსვამდა. ამიტომაც ადამიანები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ სამედიცინო დაწესებულებებს, რაც ხშირად დეგრადაციული იყო. დღეს ჩვენ ამ რეალობას ვცვლით. ჩვენი მთავრობის მიერ გა-ტარებული რეფორმებმა უამრავ ადამიანს შე-

ზიცია, სწორედ ამ სეგმენტს აღიზიანებს ალასანია თავისი ქმედებებით, მათთვის ალასანია მისივე რიტორიკიდან გამომდი-ნარე უფრო „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს არის, ვიდრე ხელისუფლების, ანუ ალასანია ვერ ახერხებს ცენტრალური პო-ზიციის დაჭერას, ის იმეორებს ნაციონალურ-ი მოძრაობის რიტორიკას და ბიძინა ივა-ნიშვილის ფიგურაზე აკეთებს მთლიანად აქ-ცენტრებს. ჩემი აზრით, ეს არის მისი შეცდომა, რადგან მას აქვს ოპოზიციური ელექტორატ-ზე პრეტენზია, მაგრამ ამ სეგმენტზე ნაცი-ონალურ მოძრაობას კონკურენციას ვერ გა-უწევს. ნაციონალური მოძრაობა თავისი რე-სურსებით ალასანიას ჩაყლაპავს და შორს ვერ იმ აზრისგან, რომ ირანულ ალასანია მო-ახერხებს ამ მასის მისევი შემოტანას.

ნაციონალური მასშტაბის ლიდერობას, მი-თუმცეს იმ სიტუაციაში, როდესაც ჩვენ გვაქვს ორი მძლავრი პოლუსი ხელისუფლე-ბის და ძალიან გამოცდილი ოპოზიციის სა-ხით, აქ ბევრად უფრო ქარიზმატული და მძიმეონიანი ფიგურაა საჭირო, რომელიც ყველა მეთოდით იბრძობებს თავისი ადგი-ლის დასაკავებლად. გარდა ამისა, ალასანიას აქვს კიდევ სხვა ხარვეზი, რასაც მისი აშკა-რად გამოკვეთილი პროამერიკულობა ჰქვია.

— პროამერიკულობა არის ხარვეზი?

— კი, ხარვეზია. თუმცა, ბევრად უფრო დი-დი ხარვეზია პრორუსულობა. მაგრამ, თუ ელექტორატი თვლის, რომ შენ იმართები სხვა ქვეყნიდან, შენ ხარ სხვა ქვეყნის ხე-ლისბიჭი, შენ არ ხარ ლიდერი, ეს კარგი და სასარგებლო არაა. მართული ლიდერი არა-ვის უნდა. ჩვენ გვინდა ლიდერები, რომელ-იც თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას.

— შეგიძლიათ დამისახელოთ პოლიტიკური ძალა, რომელიც თვითონ იღებს გადაწყვეტი-ლებას?

— ძალიან სავალალო მდგომარეობაშია პოლიტიკური მოზაიკა, პლუს ლიდერების დეფიციტია. თუმცა, მაინც მაქვს იმედი, რომ ვაკუუმი ამ კუთხით დიდხანს ვერ გაგრძელ-დება. საზოგადოება თვითონ გამოკვეთავს ასეთ ლიდერებს, რომელიც სჭირდება. დღეს ასეთი ლიდერები, სამწუხაროდ, არ არსე-ბობენ.

თამაზ ძარჩავა

ექსტრემალური დაკავალობის პირისპირ

— პატრონო ზაზა, მას შემდეგ, რაც დეკემბერში გთხოვეთ 2014 წლის შედეგების შეჯამება, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე არ გვისაუბრია. არადა, ამ სამთვეანხევაში ბევრი საინტერესო და ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 2015 წლის ამ მონაკვეთში რა ტენდენციებს გამოყოფდით ხელისუფლებისა და ოპოზიციის ქმედებებში, ამ პროცესებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაში?

— ვფიქრობ, არა მხოლოდ ბოლო თვეების, არამედ ბოლო ორი წლის განმავლობაში, მთავარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენა ქართულ საზოგადოებრივ აზრში რუსული იდეის რეაბლიტაციის მცდელობაა. ლიად გააქტიურდნენ ძალები, რომლებსთვისაც საქართველო ე.წ. რუსული სამყაროს ნაწილია. რუსული პროპაგანდა დასავლეთის დემონური ხატების შექმნის ცდილობს, ჩვენი საზოგადოებრივი ენერჯია თავისთვის სასარგებლო კალაპოტში მოაქციოს. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება და მასში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება ჩართული, ვისგანაც ამას არ ველოდით.

საბედნიეროდ, რუსული პროპაგანდა მთლიანად ეყრდნობა იმპერიულ სტრუქტურებს ქართული ცხოვრებისა და ქართველი კაცის შესახებ. მისი ადრესატი ის ეგზოტიკური არსებობაა, ოდნავ შემთვრალის ჭკუით სადღევანდელს უნარში რომ აფასებს მოვლენებს და, რომლის ზერელე ემოციების მართვაც იოლია.

რუსულმა პროპაგანდამ, უბრალოდ, არ იცის, თუ როგორ დავმორდით ამ სტრუქტურებს ბოლო ოცი წლის განმავლობაში და, რომ დღევანდელი ქართველი ადამიანების უდიდესი ნაწილის წამოგება პრიმიტიულად ეთნოგრაფიულ და სტალინისტურ იდეალებზე შეუძლებელია. ათათასობით ადამიანმა შეიძინა სოციალური ცხოვრების ევროპული გამოცდილება. გაიზარდა და ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომლისთვისაც სრულიად გაუგებარია რუსული პროპაგანდის ენა. ერთადერთი მნიშვნელოვანი იარაღი, რომელსაც ეს პროპაგანდა ფლობს, რუსული ბაზარია, მაგრამ დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭების პროცესში ეს იარაღიც მოჩლუნგდება.

ცალკე საუბრის თემაა, რამდენად შეუწყობს ხელს პრორუსული მორალიზების პოპოლიტიკის მთელი თაობის განდევნა არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ ლამის საერთოდ ცხოვრებიდან. როდესაც პენსიონერი, მიუხედავად შრომაში გატარებული ცხოვრებისა, იძულებულია, სხვის იმედზე იარსებოს და ამ დროს პოლიტიკური ელიტა ფუფუნებაშია, ძნელია, ამ თაობას არსებული სინამდვილის მიუღებლობა არ გაუჩნდეს. როდესაც ყოფილი ხელი-სუფლება ცხრა წლის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გაეღებინა კალსია (და ეს, რაც არ უნდა უცნაური იყოს, დემოკრატიული აღმშენებლობის სახელით კეთდებოდა), ბუნებრივია, რომ ამ ეკლესიასთან თავისი იმედებითა და უიმედობით დაკავშირებულ ადამიანებსაც გაუჩნდებოდათ ალტერნატიული სამყაროს ძიების სურვილი. იგივე შეიძლება ითქვას გალატაკებულ ადამიანებზეც. ასე შეიქმნა სოციალური ბაზა რუსული იდეის გავრცელებისათვის, თუმცა, ვიმეორებ, ამ იდეის საბოლოო აღორძინება ქართველი კაცისათვის ისტორიული კაპიტულაციის ტოლფასია და ძნელი წარმოსადგენია, იგი დააბნამდეს ამას. თუ ბოლო სამ თვეზე გავამახვილებთ ყურადღებას, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ნაციონალების მიერ გაპარტოული აქცია. ამ აქციამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეს პოლიტიკური ძალა სწრაფად კარგავს გავლენას და რომ ჩვენი საზოგადოება რეალური და ქმედითი ოპოზიციის აუცილებლობის წინაშეა.

— ხელისუფლებას გაცხადებული კი აქვს, რომ ევროპასთან ინტეგრაციის კურსი აქვს აღებული, მაგრამ მმართველ გუნდში მსოფლმხედველური განსხვავებები ბევრ პასუხგაუცემელ კითხვებს ბადებს. პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა კი განაცხადა, რომ ცალკეულ დემუტატთა კერძო მოსაზრებები ევროპულ კურსზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ ევროპული არჩევანის წინააღმდეგ საზოგადოების გარკვეული ნაწილის გააქტიურება, ამ თვალსაზრისით ხელისუფლების პასიურობა აშკარად პრორუსული ძალების წისქვილზე ასხამს წყალს. თქვენი აზრით, რამდენად მზადაა ქართველი საზოგადოება არა მარტო დაიცვას თავისი ცივილიზაციური არჩევანი, არამედ რამდენადაა იგი მზად თავად გახდეს ევროპის ნაწილი?

— გვსურს თუ არა, „მრეწველები“ კოალიციის წევრები არიან და მათ განცხადებას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. უკვე 2012 წელს იყო აშკარა, რომ იდეოლოგიური და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პოლიტიკური კულტურის მხრივ განსხვავებები „ქართული

ოცნების“ სუბიექტებს შორის ამ კოალიციის მუდმივად დაბლის საფრთხის წინაშე აყენებდა. თუკი რაიმე ინარჩუნებს მის მთლიანობას, ესაა ფინანსური ბერკეტები და ნაცემორაობის რეანიმაციის საფრთხე. როგორც არ უნდა ვმალვით, ჩანან ძალები და ადამიანები, რომლებსაც სურთ, კოალიციის განვითარებაში სრულიად გარკვეული ლოგიკა შეიტანოს. ისინი ცდილობენ, კოალიციისაგან გააუცხოონ ის ძალები, ვინც უპირობოდ განასახიერებდა დასავლურ კურსს. გაჩნდა დაპირისპირება მსმედიასთან, არასამთავრობო სექტორთან და ექსპერტთა საზოგადოებასთან, ქართულ ცხოვრებაში ძირითადად დასავლურ სუბკულტურას რომ განასახიერებენ. არც ის არის უმნიშვნელო, რომ სოციალური ქსელებისა თუ მასმედის მეშვეობით ყველა ხერხით ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება „თავისუფალი დემოკრატიებისა“ და პრეზიდენტის ნაციონალებთან ფარული ალიანსის არსებობის შესახებ, რათა ამით იმთავითვე ჩაძირონ ისინი. ამგვარ კონტექსტში თოფაძისა და ტყეშელაშვილის განცხადებები უკვე მოვლენათა გარკვეული ლოგიკის კონტურებში ექცევა.

მართლებით მუშაობს, მაგრამ ბევრი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, დღემდე არ ვიცით, რა კავშირი აქვს ე.წ. კაბელების საქმეს ალასანიას თავდაცვის მინისტრობიდან გათავისუფლებასთან და იყო თუ არა მისი გათავისუფლების მიზეზი ის, რომ ქვეყნისთვის საჭირო თავდაცვითი სისტემების შექმნას ცდილობდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ თემების ირგვლივ ატივობა აუიოტაჟს და რეალურად რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?

— მართალი გითხრათ, დღემდე ვერ მომიძებნია პასუხი კითხვაზე, თუ რა იყო ეს. ერთი მხრივ, აშკარაა, რომ ივანიშვილისა და ალასანიას ფარულმა დაპირისპირებამ თავისი როლი შეასრულა. მაგრამ საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება დავსვათ: ხომ არ არის ეს კოალიციიდან დასავლური ძალების განდევნის მცდელობის გამოხატულება? თუ ასეა, რატომ გაკეთდა ეს? ესაა კოალიციის ლიდერთა პრინციპული და თანამიმდევრული კურსი, თუ საქმე გვაქვს რუსული რეაქციის სიტუაციური დარბილების მცდელობასთან? ვერ გეტყვით. ყველაფერი მალე გამოჩნდება.

ბატონი დავით უსუფაშვილის განცხადებები

საზოგადოება რეალური და ქმედითი ოპოზიციის აუსილავლობის წინაშეა

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიძისთან ინტერვიუ.



„ქართული ოცნების“ მესვეურებს, თუ მხედველობაში „რესპუბლიკელებს“ არ მივიღებთ, არ დაუსვამთ საკითხი იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება ამ ადამიანების მიერ გამოთქმული აზრი კოალიციის პოზიციას. თუ ეს უახლოეს ხანებში არ მოხდება და „ოცნება“ მდუმარებას განაგრძობს, აზრი საბოლოოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს უკვე იმ ადამიანებს შორისაც, ვინც „ოცნებას“ გვერდით ედგა 2012 წლის მანძილზე. ცხადია, ეს მოვლენები მხოლოდ საშინაო პოლიტიკური მნიშვნელობისა არ არის. საქართველოს მიმართ რუსული აგრესიული დამოკიდებულების განვითარება მეორე ეშელონის პოლიტიკოსების მხრიდან მსგავსმა განცხადებებმაც შეუწყობს ხელს. მაგრამ, თუ ეს განცხადებები საბოლოოდ მოექცევა ერთიან ლოგიკაში, მაშინ ოცნება უკვე არც ისე შორეულ პერსპექტივაში არასახარბიელო სურათს მიიღებს. ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მარცხი ან გამარჯვება ინიციატივითაა და მისი, როდესაც მასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობენ ის წრეები, ვისაც საზოგადოებრივი აზრის შექმნის პოტენციალი აქვთ. მათი ხელოვნურად ჩანაცვლება სრულიად შეუძლებელია. „გონივრული ეჭვი“ შეიძლება გაჩნდეს, რომ ასე ახალი ექსპერტის გამოზრდა ელექტრონული მედიის მნიშვნელოვანი ნაწილიდან დასავლური სუბკულტურის განმასახიერებელი „ძველი ანალიტიკოსების“ განდევნის ტოლფასი იქნება. ვინმეს ქვეყნის გარეთ შეიძლება მოეჩვენოს, რომ დღეს საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური იდეალების რევიზიის პროცესი მიდის და ამან ერთგვარად აგვარდოს ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხე. მხოლოდ ეს რომ იყოს, კიდევ არა უშავდა. საქმე ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას ეხება. პუტინის გარემოცვის რუსი ანალიტიკოსები ლიად საუბრობენ იმაზე, რომ არ უნდა განმეორდეს შეცდომა და საქართველო ერთიან ქვეყნად არ უნდა დავეტოვოთ!

საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ გარკვეულ იმედს მიტოვებს, რომ ეს იყო მცდელობა, რუსული აგრესია საქართველოზე არ გავრცელებულიყო, თუმცა კი, აშკარაა, რომ ამით მყისიერად ისარგებლეს „რუსული სამყაროს“ ადვოკატებმა და ამ თემაზე უკვე ვისაუბრეთ. ყველა შემთხვევაში დაპატიმრებულია რამდენიმე ადამიანი, რომელთა დამნაშავეობასაც საზოგადოება დიდწილად აღიქვამს როგორც საეჭვოს.

რაც შეეხება სახელისუფლო წრეების მიერ გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას, მიჭირს ამის წარმოგენა. როგორი ავტორიტეტიც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, რა გავლენასაც არ უნდა ახდენდეს პოლიტიკურ მოვლენებზე, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს მისი წარსული, მითოლოგიური ხატების რა ხარისხშიც არ უნდა გვეყავდეს აყვანილი, ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მას მყისიერად ჩააყენებს იმ მოღვაწეთა რიგში, რომლის თავშიც იერეთი, რომელიც თავშიც დგას. და ეს, უპირველეს ყოვლისა, თავად მან იცის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმე ასე განიროს თავი.

— ცნობილი რუსი პოლიტოლოგის ლილია შევეცოვას შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისათვის დანებებული ეკონომიკური სანქციების გამო კრემლმა უკრაინაში გარკვეულწილად უკან დაიხია, მას ვერ საბოლოოდ არ უთქვამს უარი დასავლეთთან დაპირისპირებაზე აღებულ კურსზე. მისივე მტკიცებით, ევროპასა და აშშ მხოლოდ ახლა აყალიბებენ ახალ რეალობაში რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიას. არ არის გამოიცილებული, რომ შიდა პრობლემების გამო კრემლმა ახლოვლურად არაადეკვატური ნაბიჯებიც კი გადადგას. შესაძლოა, რუსეთთან მიმართებაში ხელისუფლების სიფრთხილე სწორედ იმას უკავშირდება, რომ საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორები რუსეთთან მიმართებაში თავის სტრატეგიასა და ტაქტიკას მხოლოდ ახლა აყალიბებენ...

— მეც ნაკვივრად ვსაუბრობ კარგი ინტერვიუს შიშვით მიფიქრია, თუ რა ცუდად უნდა შემობრუნებოდეს ევროპასა და ამერიკას ის, რომ ასე იოლად დაიჯერეს „ისტორიის დასასრული“. დაიჯერეს, თითქოს ლიბერალური დემოკრა-

ტიის სახით მათ მიაგნეს უნივერსალურ პარადიგმას ნებისმიერი კულტურისა და საზოგადოებისათვის. გესხომებათ, რა პოპულარული იყო 90-იანი წლების დასაწყისში ფრენის ფუტუიამას „ისტორიის დასასრული, ანუ უკანასკნელი ადამიანი“. როგორც აღმოჩნდა, სამყარო ჩვენს წარმოდგენებზე გაცილებით უფრო რთულია და რომ ის, რაც ჩვენთვის ცხადია, ბევრისთვის სულაც არ ყოფილა ცხადი. 2011-2012 წლებში ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებს მულტიკულტურალიზმის იდეის კრახის აღიარება მოუწიათ. სამყარო არ გააპატივებს გულუბრყვილო იდეალიზმსა და სიფრთხილს დაკარგვას. რუსული აგრესია საქართველოსა და უკრაინაში, „ისლამური რესპუბლიკის“ ირაციონალური ბოროტება, ევროპის ისლამიზაცია და სხვანი კარგი მაგალითია იმისა, რომ სამყარო არავის პატიობს ილუზიებს და გაცილებით მეტ სიმწიფეს მოითხოვს ჩვენგან, ვიდრე ჰომო ენჯეოტიკუსის მიერ ათვისებული სოციალური ალგორითმები.

დასავლეთს ოცდაათწლიანი თავლობის შემდეგ ამაში დარწმუნება მოუწია. აშკარაა, რომ აუცილებელია საკუთარი ღირებულებების უკეთ გააზრება და გაგება. თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების დიდი იდეები, თუ მათ წესიერად არ უპატივონ, პატარა თავებში აღმოჩნდება და იოლიტკორექტულობის გროტესკულ ენაზე ითარგმნება.

— ჩვენში მუდმივად ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად მზად არის დასავლეთი ჩვენი დაახლოებისათვის და დასავლეთის მიერ ჩვენი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ჩვენთვის მხოლოდ ნუგეშისათვის ხომ არ არის გამიზნული...

— ურთიერთდაახლოების სირთულე სრულიად გასაგებია. გარდა კონკრეტული ისტორიული პირობებისა და რუსული ფაქტორისა, ბევრი სხვა რამეც აძლევს ამ დაახლოებას.

ჩვენში ზოგჯერ ჰგონიათ, რომ მთავარი იმ პირობების შესრულებაა, რომელსაც დასავლეთი გვიყენებს. მთავარი კი, ალბათ, ისაა, რომ დავძლიოთ ისტორიულ „ფაზაში აცდენა“. ჩვენი რუსის ევროპა ის სამყაროცაა, სადაც ადამიანური ღირსების, რაციოს, მორალისა და განათლების იდეალებია და, ამასთანავე, ის მხარეცაა, სადაც ყოველივე ამის მახინჯი ორეულიც მოძრაობს პოლიტიკორექტულობის სახით. ეს ის სამყაროა, სადაც ადამიანური სულის უდიდესი მიღწევები შეიქმნა და ისიცაა, როგორც შევცოვაც წერს და მანამდე სხვებსაც არაერთხელ უთქვამთ, სადაც „პრინციპებს ძალზე სწორად ვულგარული პრაგმატიზმი ვეკონბის.“

მეორე მხრივ, ჩვენ ის ხალხიც ვართ, ვინც სახელმწიფოებრიობის ნება და ქრისტიანული სულიერება უშბიმეს საუკუნეებში გამოატარა და ისიც, ვისთვისაც დიდწილად დღემდე უცხოა მეთოდური და თანამიმდევრული შრომა საკუთარი საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად. ჩვენი ისინიც ვართ, ვინც დამოუკიდებლობის წლებში რეალურ სამყაროსთან ადაპტაციის გზაზე ბევრ სხვას გაუსწრო, მაგრამ რომელიც დღემდე ალუსრულბელი პოლიტიკური მითების ტყვეობაშია და უმალ მოიწყენს ხოლმე, როგორც კი რწმუნდება, რომ ამ მითებს ახედენა არ უნერია. გულუბრყვილო პოლიტიკური მითები ხომ პესიმის შიშის უდიდესი წყაროა.

გულუბრყვილო მითების ბატონობა პროვინებას კლავს. აქ ლამის გმირი უნდა იყო, რომ ვინმეს მითოლოგიურ ხატებას დაუპირისპირდეს ვინმეს დემონურ ხატებაში რაიმე სიკეთე აღმოაჩინოს. საფრანგეთის რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ მიჯლისურ ენოთად უცეკვიათ მარატისა და მისი მკვლელის შარლოტა კორდეს შთამომავლებს. ეს გახლავთ ევროპული არისტოკრატიზმი, რომელიც, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, დემოკრატიას უდევს საფუძვლად. ამ ცეკვით შთამომავლებმა ევროპული შერიგების დემონსტრირება მოახდინეს.

შთავრეს პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და ოპოზიციის კონსულტაციები ევროპულ ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, დაუსვებელია ჩვენში. ჩვენი მიზანი თითქოს მუდმივი ექსტრემალური დაპაბულობაა, როგორც ერთხელ ადრედ ვთქვი, მუდმივი ცივი სამოქალაქო ომია და არა თანხმობა საკუთარი სასოციალური გარემოს შესაქმნელად. დამიჯერეთ, ამას სხვებაც ხედავენ და რუსული სტრატეგიაც ჩვენი ხასიათის ამ და კიდევ მრავალ სხვა უარყოფით ნიშანზე აიგება. ეს ყველაფერი ვერცა გვეჭირს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველაზე კარგად ეს თავადვე ვიცით. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მივაგნებთ პოლიტიკური ქცევის იმ წესს, საკუთარ თავში იმ პოლიტიკურ კულტურას აღვზრდით, ქართულ სახელმწიფოებრიობას რომ სჭირდება.

კოპა პინდელიანი

ახლანდელ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი მთავარი რედაქტორის ალექო ასლანიშვილის ერთობ საინტერესო და ყურადსაღები სტატია, სათაურით „იანკოვსკიდან პიუტიტამდე, ანუ მეგრელთა გამეგრელება გალში“, სადაც ვკითხულობთ: „შემაშფოთებელი ცნობები მოდის ოკუპირებული აფხაზეთიდან. რაც მტერმა ტყვეთ ვერ შეძლო, იმის გაკეთებას ახლა წინააღმდეგობა უწევს. ეს არის ცდა, ქართულ სხეულს ჩამოაცილონ მისი ორგანული ნაწილი, დაარღვიონ ერის ერთიანობა, გაუცხოებინოს ბატიანი შეიტანონ მასში“.

შეშფოთების საგანი კი ისაა, რომ აფხაზეთი გალში მეგრულ ტელევიზიას ხსნიან და სკოლებში მეგრული ენის სწავლებას იწყებენ, რასაც უდავოდ მოჰყვება მეგრელთა გაუცხოება ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის მიმართ. ეს „კეთილშობილი“ ნაშრომები აუცილებლად მოიტანს ისეთ ნაყოფს, საქართველოს დაქვევა რომ ჰქვია.

მართალია, ჯერჯერობით პატარა ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ ჯერჯერობით, ვინაიდან მეგრული ენისა და ავტონომიის თემა სულაც არ არის უცხო საქმეში ჩახედულ ექსპერტთათვის, რის შესახებაც წერს ბატონი ალექო თავის სტატიაში. და მას პატარა ნაპერწკალი სჭირდება, დიდ ხანძრად გადასაქცევად.

სამწესობრივად, საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა და აქტივისტების ნაწილი იხილავს მისი რამდენიმე სტატიას, განსაკუთრებით კი „საქართველოს რესპუბლიკის“ სტატიას, რომელიც მათთვის უდავოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთვის, ვინც მათი სტატიის მიხედვით, მეგრული ენის სწავლება უნდა დაიწყოს. ეს სტატია, რომელიც მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთვის, ვინც მათი სტატიის მიხედვით, მეგრული ენის სწავლება უნდა დაიწყოს.

სამწესობრივად, საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა და აქტივისტების ნაწილი იხილავს მისი რამდენიმე სტატიას, განსაკუთრებით კი „საქართველოს რესპუბლიკის“ სტატიას, რომელიც მათთვის უდავოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთვის, ვინც მათი სტატიის მიხედვით, მეგრული ენის სწავლება უნდა დაიწყოს.

სამწესობრივად, საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა და აქტივისტების ნაწილი იხილავს მისი რამდენიმე სტატიას, განსაკუთრებით კი „საქართველოს რესპუბლიკის“ სტატიას, რომელიც მათთვის უდავოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთვის, ვინც მათი სტატიის მიხედვით, მეგრული ენის სწავლება უნდა დაიწყოს.

იმ დონისძიებაში ქართული ინტელიგენციის ნაღები მჭიდროდ იყო შეკრული ხელისუფლებასთან, რომელმაც ხელი ასწავლა საკუთარი ქვეყნის შემადგენელ ნაწილზე, მუხანათურად, ღამით, „გრაფების“ წვიმა დაყარა ცხინვალს.

მაგანი მკითხავს, რა შუაშია ცხინვალის ქართულ ენასთან. შუაში კი არა თავშია. რომ არა ცხინვალის, არც დამოუკიდებელი სამხრეთი ოსეთი და არც დამოუკიდებელი აფხაზეთი აღმოცენდებოდა. და რახან ეს არ იქნებოდა, არც არავინ გაბედავდა გალის სკოლებში მეგრული „დედა ენის“ სახელმძღვანელოების შეტანას. არც არავინ იფიქრებდა გალში მეგრული ტელევიზიის გახსნას.

საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის აპრილის 8-ს დაიწყო მთლიანად ქართული ენის სწავლება სკოლებში, რაც სხვათაშორის, საკუთარი ქვეყნის შემადგენელ ნაწილზე, მუხანათურად, ღამით, „გრაფების“ წვიმა დაყარა ცხინვალს.

და რახან საჯაროდ არ თქმულა სინამდვილე, ის სიცრუემ ჩაანაცვლა და ვართ ასე სიცრუეში 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე.

„რუსეთი აგრესორია“, „რუსეთმა დაიპყრო ჩვენი ტერიტორიები“, „ცნო მათი დამოუკიდებლობა, რითაც ხელი შეახო ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას“ - გავყვირვართ და იმასაც ვერ ვხედავთ, ჩვენი ხმაური, თბილისსაც რომ ვერ შორდება. ჩვენ, ჩვენსავე ჭაობში ვბუყბუყებთ, თან უდრევად, უტუხად ვაცხადებთ, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები გვიდგანან მსარში და ისინი ვაკეთებენ იმას, რასაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია.


მსოფლიოში ჯერ არ შობილა ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნის შინაურ საქმეს გულთან ახლოს მიიტანს და მის გასაკეთებელს, თვითონ გააკეთებს. 2004 წლის შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ისტორიისთვის საკმარისად ცოტაა, მაგრამ პატარა, და ულაგებელი ქვეყნისთვის - ბევრი. დასავლეთის კეთილ ნებას მიჩერებული ქართული პოლიტიკა, ხელისუფლება და საზოგადოება, ერთობ მიძინარე, მოდუნებული, სიზარმაცით შეეპრობილი, აინუნშიც არ აგებს დაპყრობილ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს. დიდი-დიდი ძილსა და ძილს შორის, კუჭის ამოსავსებად გამოფხიზლებული, უსუსურად წამოიკნაწელებს და დასავლეთს შესჩივლებს - ნახეთ, რას გვიშვება მტარვალ აგრესორი და გათახსირებული რუსეთიო.

ეს ნამოკნაველებაც ძველი თბილისის ეზოებში მოჩხუბარი ქალების ნიოკს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული განსჯის ნაყოფს. სერიოზული განსჯა კი დამოუკიდებლობის 23-წლიან პერიოდში არც ერთხელ არ გვექონია. არც მანამდე ვიყავით განსჯა-ანალიზის დიდი შემოქმედნი, განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც აფხაზეთის თემამ მერამდენედ იფეთქა. ნაცვლად იმისა, მწერალ ასტაფიევს გულახდითად შევეკითხოდით - რა გვეშველება, რით ვისნათ თავი დავიცავთ?

ვით, ხმალომელები შევასკდით - ეს, როგორ გავკვირდებოდეთ მათ, ვინც მათი სტატიის მიხედვით, მეგრული ენის სწავლება უნდა დაიწყოს.

არადა, რაც მან დანერგა, გულსტკივილი იყო, საკუთარი იმ მართლაცდა გმირი ხალხის მიმართ, ვინც ბრძოლით გამოიარა საუკუნეები და გასიებული ახალგაზრდების თითზე ავტომანქანის გასაღების ტრილაამდე მოვიდა. აი, სწორედ იმ ახალგაზრდების შვილები და შვილიშვილები, ისეთივე გასიებული და ტვინის სიგლუვით გამოჩენილები, მართავენ ერთ დროს მართლაცდა გმირ ქვეყანას. ის, რომ 2008 წელს საქართველომ მხარი არ აუბა გლუგონეზიანი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბაქრაძის მოწოდებას - ჩანგლებით და დანებით შევებოდით კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარს, სრულიად შესაბამისი რეაქცია იყო.

ძნელია შავ „ჯიკებზე“ შემომჯდარი ყმანვილების მწვანე ტანკებში გადაჯდომა, გაცილებით ძნელია მოსალაპარაკებულ მაგიდასთან მონინალმდევე მხარის მიერ დაყენებული პრეტენზიებისთვის ამომწურავი, საზრიანი პასუხის გაცემა. და როდესაც ამის თავი არ გვაქვს, დახმარებისთვის დასავლეთს ვიშვებოვით. ისიც თავს არ ინუხებს და თავის ნაცვლად ევროკავშირში გუშინ განეკრებულ, ჩვენსავით გაპარტახებულ ბალტიისპირელებს გვიგზავნის.



ქართულ საქმეს, მის მომავალს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დღევანდელი პოლიტიკით არაფერი ეშველება. მას მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაერთიანებული ძალისხმევა, პოლიტიკურ კურსში კარდინალური ცვლილებების შეტანა, რუსეთთან ჩაშლილი ხიდის აღდგენა და არსებული ვითარებისთვის თვალის გასწორება ესაჭიროება.

ასე და ამრიგად შეიცვალა ვითარება ერთ დროს ჩვენ ტერიტორიულ ცნობილ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მათ დამოუკიდებლობაც მიიღეს, რუსული ეკონომიკური დახმარებაც და, რაც მთავარია, საერთაშორისო დონეზე შესაფერისი აღიარების მოპოვებაც. აი, ის ჩვენი „მეგობარი“ ევროპა, სოხუმ-ცხინვალშიც ჩადის და კატეგორიულად გვთხოვს ოკუპაციის მკაცრი კანონის გალიბერალეზას.

ჩვენ კი, ტრადიციულად, რასაც ვაკეთებდით, იმას ვაკეთებთ ანუ ვაკვირდებით - „ოკუპანტი რუსეთის ბრალია“. კეთილი, არავინ დავობს, თუ რა წვლილი მიუძღვის მეფის რუსეთს მეგრელებისა და სვანების ცალკე ეთნოსად მოხსენიებაში. მეგრული ენის ქართულსა და სვანულს განსხვავებულად გამოცხადების მცდელობაში, რუსეთის თანამედროვე პოლიტიკის მზაკვრობაში, მაგრამ ჩვენ სად ვართ და ვაკეთებთ თუ არა ჩვენს საქმეს ისე, როგორც საჭიროა - ყოველგვარი პარტიული მიკერძობების, კუთხური სიმპათია-ანტიპათიის გაწევა?

მეგრული ენისა და ავტონომიის თემა ომანანად უღერდა საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან, რის შესახებაც ბატონი ალექო წერს კიდევაც თავის სტატიაში. მეგრელთა შეუპოვარი პოზიცია გაოცებს და არა იმიტომ, რომ „პატრიოტულად“ იცავენ საკუთარ ენასა და დამოუკიდებლად ყოფნის სურვილს, არამედ იმიტომ რომ ეს ყველაფერი ხდება „სისხლისმსმელი“ სტალინ-ბერიას დროს, რომ-

ლებიც აღნიშნული თემების დამკვიდრების კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ.

ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიდიოდა მეცნიერული, პარტიული, საზოგადოებრივი პოლემიკა, თანაც ყოველგვარი ხოცვა-ჟლეტის გარეშე. და ბოლოს მაინც ბოლშევიკურმა საზრიანობამ იძალა. ის, რომ დღეს დამოუკიდებელი სამეგრელო, საკუთარი ენითა და ისტორიით არ არსებობს, სტალინ-ბერიას დამსახურებაა. და ეს უნდა იცოდეს ერმა.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? დღენიდაც ვლანძღავთ და ვაგინებთ ყველაფერს გუშინდელს.

დაი! მეფის რუსეთის იმპერია შულს ალევებდა დამორჩილებულ ხალხებში, მაგრამ საბჭოეთის ისტორია სხვაა - უპირველესად მის შემადგენლობაში შემავალი ხალხების ძობა-მეგობრობაზე დაფუძნებული. სწორედ საბჭოთა პოლიტიკის წყალობით შეიქმნა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში მეცნიერებათა აკადემია, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა მშობლიური ენის კვლევა-განვითარების საკითხებს.

ცხადია, საბჭოთა კავშირში ისეთებიც იყვნენ, ვინც ალმაცრად უყურებდნენ მშობლიური ენის თემას და რუსულს პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ. მაგრამ დამისახლეთ თუნდაც ერთი იმპერია, რომელიც მსგავსი ზრახვებისგან შორს იყო და სულ იმაზე ფიქრობდა ჰინდი, სუაჰილი, სხვა ენები სახელმწიფო ენებად ექცია.

დამისახლეთ თუნდაც ერთი შეძლებული ქართული ოჯახი, რომელიც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში არ ცდილობდა შვილის რუსულ ბაღში მიბარებას.

დამისახლეთ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელი, ვინც ზომავს ჭარბად არ ეთავყვანება ინგლისურ ენას.

როდესაც ილიას უნივერსიტეტის რექტორის თევზაძის განცხადებით - ინგლისური ენა საქართველოში მშობლიური უნდა იყოსო, რა დააშავა მეგრულმა?!

როდესაც გაურკვეველი სახის არასამთავრობო ორგანიზაციების გავრცელება, მედიაში მომუშავე თინეიჯერი ახალგაზრდობა, მთავრობის წევრები და პოლიტიკოსები ინგლისური სიტყვებით გვეკველევენ - აქაოდა ინგლისური ვიციო, რას ვერჩით მეგრულს?!

ენის თემა პოლიტიკასა და ისტორიასთან რომ არის გადაჯაჭვული, ფაქტია. როდესაც ჩვენ თვითონ ვცდილობთ, ჩავძიროთ საკუთარი ენა, სხვა რაღას იზამს, ამის შემხედვარე?

დღესაც მრავლად არიან მეგრული წარმოშობის ქართველი ინტელიგენტები, რომლებიც სერიოზულად მიიჩნევენ, რომ მეგრული ქართულ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, რომ მას ქართულთან გათანაბრებული პოზიციები უნდა ჰქონდეს. არც ერთი მათგანი არ ფიქრობს, რას გამოიწვევს ეს და მოჰყვება თუ არა ყოველივე ამას ავტონომია, შემდეგ ვინ იცის, იქნებ დამოუკიდებლობაც - სახელმწიფო ხელფასებისა და კეთილდღეობის მსურველებს რა მოთვლის?

ალექო ასლანიშვილის სტატია საზოგადოების გამოსავლიზლებელი აბია, მაგრამ უნდა კი საღათას ძილში მყოფ „ანაღვლე“ საზოგადოებას გამოეცხადებინა და „ომში“ ჩართვა?!

ვევკობ, რომ უნდა. თვით საზოგადოება ამის გამკეთებელი არ არის. ხელისუფლებამ უნდა ივაჟკაცოს, მაგრამ თუ რამე პრობლემაა, სწორედ ხელისუფლებასთან იგვივდება.

საკუთარი ისტორიის არმცოდნე ხელისუფლება, ვერ იქნება ერთობ დელიკატური საქმის მოთვე, ვერც წინამძღოლად გამოდგება. ყოველივე აღნიშნულს ერთვის თვით ხელისუფლების მიერ განათლება-მეცნიერებაში გატარებული ანტიქართული რეფორმები. სწორედ ხელისუფლების წყალობით დაჩაჩანა კდა მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა გარეშე ენის საკითხის განხილვა, სერიოზული განაღობა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია.

უთავო ხელისუფლების წყალობით შექმნილმა პრობლემებმა ჩინში შეიყვანა საქართველო. არადა, კომუნისტურმა მმართველობამ (შევარდნაძის პერიოდის გამოკლებით) საღ-საღ-მათი ქვეყანა ჩავგაბარა, რომელსაც 20 წელიწადზე მეტია, გულმოდგინედ ვანგრევთ და ვერ დავანგრეით. შიგადაშიგ სხვისკენ ვიშვერთ ხელს - ისაა დამნაშავეო.

აპრილში დედა ენის დღეს აღნიშნავთ და უკვე მერამდენე წელია გამობობთ, რომ ქართველმა სტუდენტებმა, ინტელიგენტებმა დაიცვა ქართული ენა და კონსტიტუციაში დაამკვიდრა ის.

თუ ვინ ჩანერა კონსტიტუციაში გასული საუკუნის 30-იან წლებში „ის“, ნაკლებად ცნობილი ფაქტია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. საქართველოს საზოგადოების წარმოშობის დღეებიდან ამის თაობაზე სთხოვეს სტალინს და მანაც, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებისგან განსხვავებით, დართო საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის დაფიქსირების უფლება. ასე მოვედით გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე, ანუ კონსტიტუციის ახალი ტექსტის შედგენამდე.

მეგრული ენის და ავტონომიის თემა ისეთია, საქართველოს ხელისუფალთა გონივრულ მიდგომას და რაც მთავარია, პატრიოტულ სულისკვეთებას, პრამატულობას რომ საჭიროებს. ჩვენ კი ბუჩქებში შეეუფული, სიამტკობლობას მიცემული, სხვისი მომიღვე, უაზროდ ვიქნევთ ენას.

ქართულ საქმეს, მის მომავალს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დღევანდელი პოლიტიკით არაფერი ეშველება. მას მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაერთიანებული ძალისხმევა, პოლიტიკურ კურსში კარდინალური ცვლილებების შეტანა, რუსეთთან ჩაშლილი ხიდის აღდგენა და არსებული ვითარებისთვის თვალის გასწორება ესაჭიროება.



ჰამლატ ჭიკაშვილი,
პოლილოგი.

გვწერენ

ნოდარ ახალკასი ჩვენი ახალგაზრდობისთვის მუდამ სამაგალიტო, მისაბამი პროვინულ ახალ კასად დარჩება!

დიდი მართალი მწვრთნელი და საზოგადო მოღვაწე, მრავალი ფეხბურთელის აღზრდელი ანდრო შორაძანი ამჟამად: დღეინადაც უნდა ვიზარუნოთ ქართული ფეხბურთის განსაზღვრებად და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სპორტი არის ღონება, სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც ითვისინინება ქართული ხალხის ეროვნულ ტრადიციას.

**გვითხვები
ბანათლებისა და
მეცნიერების
მინისტრის
ყურადღებას
ითხოვს**

ეს მართლაც ასეა. სპორტი ხომ განათლების, კულტურის, ხელოვნების გამოჩეულად პოპულარული დარგია...

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ქალბატონ თამარ სანიკიძის სახელზე 2015 წლის 27 მარტს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძის და 1981 წლის 13 მაისის ევროპის თასების თასის მომპოვებელი რაინდი ბიჭების ხელმოწერით გაიგზავნა სპეციალური განცხადება, რომელშიც ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად, გამოჩენილი ფეხბურთელები - სერგო კუტივაძე, ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა, გია თავაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელიას მეუღლე მარინე მამალაძე, ნუკრი კაკილაშვილი, ვლადიმერ გუცავეი, დავით ყიფიანის ძმა გიორგი ყიფიანი, რამაზ შენგელიას მეუღლე ლია ბაბუნაშვილი, ვაჟა ჟვანია, კარლო მჭედლიძე, გიორგი ჭილაია, აგრეთვე 1964 წლის ჩემპიონი „ოქროს ბიჭები“ - ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, გიორგი სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა თავაზიანად სთხოვეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ქალბატონ თამარ სანიკიძეს, რომ ნაძალადევის რაიონის მე-9 საჯარო სკოლას მინიჭებოდა ამ სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულის, დღეს უკვე სპეციალისტებისა და ქართველი ხალხის მიერ საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის სახელი.

შეგახსენებთ, რომ 1981 წლის 13 მაისს დიდი ზეიმი იყო საქართველოში. ჩვენმა დიდმა პოეტმა, ერის საამაყო შვილმა ირაკლი აბაშიძემ მაშინ ბრძანა: „ასეთი საყოველთაო სახალხო სიხარული დიდი ხანია, არ მინახავს“.

ქართველი ხალხი ფეხბურთით ცხოვრობდა. ფეხბურთი ხომ ქართველების უსაყვარლესი სპორტია. საზღვარგარეთ ასეთი რამ არსად არ ხდება (ალბათ, მხოლოდ ბრაზილიაში). მე იმ მწვრთნელების გვარებს დაგისახელებთ, რომლებსაც რაინდის წოდება მიანიჭეს და შემდეგ ძეგლი დაუდგეს თავიანთ ქვეყნებში: ალექს ბეტიუ ბასბი - მანჩესტერის მწვრთნელი, რომელმაც ჩემპიონთა თასი ააღებინა გუნდს, მეორე წელსვე ოლდ ტარფორდზე ძეგლი დაუდგეს; შოტლანდიელი ალექს ფერგიუსონი - ძეგლი დაუდგეს და მის შესახებ წიგნები დაწერეს; უკრაინის „დი-

ნამოს“ მწვრთნელს, რომელმაც ჩემპიონთა თასი აიღო, კიევის მერიამ შუა ქალაქში ძეგლი დაუდგა. აქ უნდა ვახსენო ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ფეხბურთზე მრავალი წიგნის ავტორი, სპორტის დამსახურებული მუშაკი დემიკო ლოლაძე, რომლის ძალისხმევით (ბატონ დავით ონოფრიშვილის დიდი მხარდაჭერით) ყოფილი „ლოკომოტივის“ სტადიონს ლეგენდარული მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი ეწოდა. ჩვენმა მერიამ და საკრებულომ კი ერთი კარგი ქუჩის სახელი ვერ გამეტეს ნოდარ ახალკაცისთვის.

დიდმის მასივში ამ გამოჩენილი კაცის სახელი, გიგი უგულავას დროს, ერთ ციდა ქუჩას (ასი მეტრი სიგრძეც არ ექნება) დაარქვეს. ეს ხომ სამარცხვინო! არადა, ქალაქში უამრავი ქუჩაა, რომლებიც არ აკმაყოფილებს დღევანდლობის მოთხოვნებს: აბანოს ქუჩა, სამღებროს ქუჩა, ტყეველტურის ქუჩა, მაუდის ქუჩა და ა. შ. ნოდარ ახალკაცისთვის კი, რომელიც სწავლობდა ნაძალადევის რაიონში, გიორგი სააკაძის ქუჩაზე, მაშინ რუსულ სკოლაში, ახლა მე-9 ქართული საჯარო სკოლა რომ ჰქვია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, პირადად მინისტრმა, ქალბატონმა თამარ სანიკიძემ ისიც ვერ გაბედა, რომ ასეთი სახელგანთქმული ვეტერანი ფეხბურთელების და მათი ოჯახის წევრების თხოვნა დაეკმაყოფილებინა.

ამ განცხადების პასუხი სამინისტროს მხრიდან (წერილს ხელს აწერს მინისტრის მოადგილე ლია გიგაური), ასეთია: „ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი სკოლას შეიძლება ეწოდოს გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ!“

3 წელიდა აკლია ქალბატონო თამარ, ქალბატონო ლია იმ 20 წელიწადს, თქვენ რომ ასახელებთ. ნოდარ ახალკაცი 17 წლის წინათ გარდაიცვალა! ნუთუ იმდენი დამსახურება არა აქვს ამ უბადლო მწვრთნელს, რომ სამი წელი ქართველი ხალხის სახელით „აპატიოთ?!“

ვითომცდა ოფიციალურ დოკუმენტს იშველიებთ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის შესახებ. მართალია, წესებს უნდა ემორჩილებოდეთ, მაგრამ თუ ეს „წესი“ ხალხისთვის მიუღებელია და ნაციონალების ზეობის ჟამს - 2007 წლის 16 მარტს არის დამტკიცებული, ნუთუ იმას ვერ უნდა ხვდებოდეთ, რომ დამსახურებული ადამიანების, საზოგადო მოღვაწეების ჩამრეცხავი და დამამცირებელი სააკაშვილისტების „კანონი“ საგანგებოდ არის



მიღებული წარსულის ჩასაქოლად და გასაბითურებლად? მეც ვეტყვანი გულშემატკივარი გახლავართ, ფეხბურთზე ორი წიგნის ავტორი (1. ქართველი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირის ნაკრებში, 2. თბილისის „დინამო“ მსოფლიო სტადიონებზე). დღესაც ფეხბურთით ვცოცხლობ, დღე არ გავა, რომ არ ვნახო ჩვენი სასიქადულო ფეხბურთელები...

ნოდარ ახალკაცის სახელის მშობლიური სკოლისთვის მინიჭებას ნამდვილად არ სჭირდება მისი გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლა.

ბათუმში, ქალბატონო თამარ, დროულად მოაგვარეთ ეს უმტკივნეულო, ახალგაზრდად გარდაცვლილი საკითხი.

ამით ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის პატივისცემას დაიმსახურებთ! ჩვენი ახალგაზრდობისთვის კი ფრიად ღვალნმოსილი ადამიანის ღირსეულად დაფასების საუკეთესო მაგალითი იქნება და უთუოდ ხელს შეუწყობს ახალი, გამორჩეული სპორტული თაობის აღზრდას. მით უმეტეს, რომ ნოდარ ახალკაცისთანა დიდოსტატები სიკვდილის შემდგომაც განაგრძობენ სიცოცხლეს და თავიანთი მისაბამი ცხოვრებით სპორტული გამარჯვების ჟინს ალვიძებენ ახალგაზრდებში!

ირაკლი (იპო) დოლიძე

P. S. სხვათა შორის, კანონის თანახმად, მთაწმინდაზე დაპირდაპირ მხოლოდ გარდაცვალებიდან 25-30 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს. მაგარამ რომელიც ამ პოლუ დროს ვნახეთ, ეს კანონი რამდენჯერმე დაირღვა და სრულიად საბათილიანადაც, დრომ თავისი კორექტივი შეიტანა!

უსინარულო სტატისტიკა

ყოველი მეოთხე - ღარიბი, ყოველი მესამე - ღატაკი

საქართველოში 430 000 ადამიანი ღატაკია. სპეციალისტები რეალურად უფრო მაღალ მაჩვენებელს ვარაუდობენ. მათი აზრით, მონაცემები არასწორია. მთავრობის სოციალური პოლიტიკა ვითარებას მნიშვნელოვნად ვერ აუმჯობესებს.

ოფიციალური სტატისტიკით კი, ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი არ იცვლება. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოახლეობის რეგისტრირებული წილი 2011 წელს 9,2% იყო, ხოლო 2012-13 წლებში - 9,7%.

„საქსტატს“ 2014 წლის მონაცემები ჯერჯერობით არ აქვს. სტატისტიკოსი ექსპერტი

ტი სოსო არჩავაძე ამბობს, რომ საქართველოში ყოველი მეოთხე ღარიბი, ყოველი მეათე კი ღატაკია. 430 000-მდე ადამიანის ყოველთვიური შემოსავალი 150 ლარზე ნაკლებია.

სოციალური სამსახურის სტატისტიკის ხელმძღვანელის ინფორმაციით, როგორც რეგისტრირებულის, ასევე ფარდობითი სიღარიბის 2014 წლის მონაცემები მათში გამოქვეყნდება. რაც შეეხება მისი მონაცემების სანდოობას, გიორგი კილაკაშვილი მიიჩნევს, რომ გამოყენებული მეთოდოლოგია სწორი და უტყუარია.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული 2015 წლის 20 იანვრით დათარიღებული კვლევის მონაცემების თანახმად, საქართველო რეგიონში ეკონომიკური უთანასწორობის რეიტინგში პირველ ადგილზეა.

საქართველო ეკონომიკის (შემოსავლების) უთანასწორობის რეიტინგში 2007 წელსაც იყო ლიდერი 40,6-იანი მაჩვენებლით, ხოლო 2012 წლიდან ეს მონაცემი კიდევ უფრო გაუარესდა და 42,1 შეადგინა.

„ჯინის“ ინდექსი გაიზარდა რეგიონის 9 ქვეყნიდან ექვსში. ეს

განსაკუთრებით ჩანს ისეთ ქვეყნებში, სადაც ადრეც ფიქსირდებოდა შემოსავლების უთანასწორობა - საქართველოში, რუსეთში და თურქეთში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს ქვეყნები, სიღარიბის შემცირებაში იყვნენ უფრო წარმატებულები. მაგალითისთვის, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდნენ, თურქეთში და საქართველოში 6%-ით შემცირდა, რუსეთში კი - 3%-ით.

ამავე კვლევის თანახმად, 2007 წლის მონაცემებით, სიღარიბის მაჩვენებელი პროცენტულად საქართველოში 20,1%-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს 14,8%-მდე ჩამოვიდა.

საქართველოს მთავრობას ბოლო პერიოდში კურსი სოციალური მიმართულებით აქვს ადებული. მათი მიზანი სიღარიბის შემცირებაა.

„მჯერა, დადგება დრო, როცა საქართველო თავადაც გახდება მონინავე ქვეყანა სიღარიბის გარეშე, რომელსაც ექნება ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები და ძლიერი ეკონომიკა“, - აცხადებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მოსახლეობა ორ ათეულ წელზე მეტია, ელის ასეთი დროის დადგომას, მაგრამ წლიდან წლამდე მათი ყოფა უმნიშვნელოდ იცვლება.

ბაბა დანელია

უსაფრთხოება

სამართალდამსჯელები მიხედავენ

ჩვენი სამართალდამცველები მიხედვენ იმ 2 თუ 3 ადამიანს, რომლებიც ცდილობენ, ახალგაზრდების სირიაში გადაყვანას, - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, უსაფრთხოების სამსახურები მუშაობენ.

მანვე ყველას მოუწოდა, რომ ასეთი თემით სპეკულირებას თავი დაანებონ.

„პანკისის ხეობის მიმართ, ასეთი აბსოლუტურად არაბუნებრივი ისტერიით თემების გაშუქება არის დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის და ეს არის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. ყველას მოვუწოდებ, გაიაზრონ, თუ რა თემებით ძაბვენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას“, - განაცხადა ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, პანკისის ხეობის მცხოვრებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და არავითარი განსაკუთრებული და განსხვავებული მიდგომა მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია. „პირიქით, წინა ხელისუფლების დროს, იყო მუდმივი გულგრილი დამოკიდებულება, მაგრამ ჩვენ ეს მიდგომა შევცვალეთ“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ბოლო დღეებში პანკისიდან სირიაში 2 ახალგაზრდა წავიდა.

ინტერპრესი

„სასიკვდილო ჩვენ ვართ მხოლოდ“...

ძრისტი ალბაძე, ძვირფასო მკითხველო, აღდგომა, ქვეყნის გამთლიანება, სახელმწიფოს განმტკიცება, ჩვენი ხალხის გამრავლება და გამდიდრება ნუ მოგვიშალს უფალმა! მაგრამ ყოველივე ეს ზნეობისა და მორალის გარეშე რომ არ იქნება, იცის ეს უფალმა და უფლის შემწეობით ვიცით ჩვენც!

ახლა მოგიყვებით იმას, რაც ჩვენს საერთო გულსტკივილად და სათქმელად მიმანია. იმ დღეს ისეთ განწყობაზე ვიყავი, უკეთ გამოვივიდოდა ის, რაზედაც ახლა მინდა გესაუბროთ, მაგრამ მაშინ ვერ დავწერე, სხვა აუცილებელმა საყოფაცხოვრებო საქმეებმა შემეშალა ხელი. არა, მართლა, რატომ ვფიქრობ ამდენს ადამიანებზე, რატომ ვაქცევ მათ ქცევებს ასეთ ყურადღებას?

სახლში ავტობუსით ვბრუნდები, წინა სკამზე ორი ახალგაზრდა ზის — ქალი და ვაჟი. ქალი (გაცილებით უფროსი იქნება ვაჟზე) უმაღლესად, ადგილი დამითმო. ვაჟი ფანჯარაში იყურება გულგრილი სახით. ავტობუსში მრავალი ქალია, ფეხზე დგანან, რატომ არ ესმის ამ ბიჭს რომ ადგილი უნდა დაუთმოს ქალბატონებს, უფროსებს კი არადა, მის ტოლებსაც კი? — ვფიქრობ და ვეკითხები ჩემს თავს. ერთი სული მაქვს, როგორმე ვაგრძობინო, რომ მისი საქციელი უზრდელობაა.

ეკლესიას ჩავუარეთ და ამ ვაჟმა პირველი გადანიშნა. აი, ახლა ვეტყვი, აი, ახლა... ვილაპარაკო სადღაც, თუნდაც ავტობუსში, ხომ უნდა ასწავლოს... მაგრამ ძალიან მერიდებია. როგორ ვუთხრა და რომ ვუთხრა, სხვებზე გაიგონებენ და ხომ შერცხვება აქ მყოფი, თავისი ტოლი გოგონების წინაშე! არ მინდა, ახალგაზრდას უხერხული მდგომარეობა შეეუქმნა. აი, ასე შენ უხერხულმა განვვლე გზა ავტობუსით ჩემს გაჩერებამდე...

ასეთი და უარესი შემთხვევები ბევრი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. ხშირად მითქვამს კიდევ იმათთვის, ვინც ბოლო წუთებამდე, ანუ საკუთარ გაჩერებამდე ადგილს არ უთმობდნენ ქალბატონებს კი არადა, წელში მოხრილ, უძლურ ასაკოვნებსაც კი, — კარგი იქნება, სკამსაც თან თუ გაიყოლებოთ-მეთქი, მაგრამ ვითომ შევარცხვინე? ეჰ, ვის შეარცხვენ, ხალხის დიდ ნაწილს ზრდილობა აკლია. ძალიან, ძალიან.

ეკლესია და იმ ვაჟის მიერ პირველის გადანიშნა ვახსენე... ჯერ ერთი, ავტობუსში პირველის გადანიშნა რას ნიშნავს, ვითომ მორწმუნე და ქრისტიანი ვარო? ალბათ! მაგრამ ასეთებმა რა იციან, რომ ქრისტიანობა და, ზოგადად, მორწმუნეობა, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობას, მოყვასისადმი თანადგომას, სიყვარულს, პატივისცემას ნიშნავს. და ნახეთ ახლა როგორ იქცევიან არა მხოლოდ ავტობუსებში და ქუჩებში, არამედ თვით ეკლესიებშიც კი ჩვენი თავდაკლული მორწმუნეები... თუმცა, თუ დავუკვირდებით, გასაკვირიც არაფერია... სამი, ოთხი საათის განმავლობაში ფეხზე მდგომი მრევლი (წარმოიდგინეთ ხალხით გაჭედული დარბაზი!) ხელში სათვლებით, რომელსაც წირვის მიმდინარეობისას პერიოდულად აქრობენ და ისევ ანთებენ, უხარისხო სათვლის (ერთბაშად არ იყოს თავლისა!) მხრწლონი ბოლი კიდევ უფრო ამძიმებს ხალხის სიბრავლით ისედაც დახშულ ჰაერს და ამას ზედ ემატება სრულიად პრიმიტიული, ზოგჯერ უაზრო და უშინაარსო ქადაგება-შეგონება მოძღვრისა და საკითხავისა, სად ხდება ჩვენი მოქალაქეების აღზრდა, ქცევის ნორმებისა და სხვა უამრავი კულტურათა შესათვისებლად? მაღალშემოსავლიან, მდიდარ ოჯახებში, სადაც ბავშვები გაუგებარი წარმომავლობისა და მორალის მქონე, დაქირავებული „აღმშენებლების“ მეთვალყურეობის ქვეშ რჩებიან თუ იმ ოჯახებში, სადაც მშობლები ბავშვებთან ერთად ლუკმაპურის საშოვნელად ქუჩებში და ბაზრებში არიან გადახვეწილი? და კიდევ, ვინ რომელი ოჯახითა იმ კატეგორიებს, სადაც ცნება „ბავშვების აღზრდა“ მეორეხარისხოვანი კი არა, შეიძლება არც არსებობს.

მოდით, საბავშვო ბაღებში შევიხედოთ, იმ ბაღებში, ამ ბოლო ხანებში ღარიბთათვისაც ხელმისაწვდომი რომ გახადეს, იქნება მათ ეკისრებათ ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვალეობა? მაგრამ იქ ხომ თითოეულ ჯგუფში ორმოცზე მეტი ბავშვია, შეძლებს კი პედაგოგი მათ აღზრდას, რაც უნდა მონდომებული, კარგი პედაგოგი და განათლებული პიროვნება იყოს იგი? საკითხავია! რას ამბობთ, სკოლები რატომ გავიწყდებათ, — წამოიძახებს უთუოდ შემფოთებული მკითხველი. კი, ბატონო, მაგრამ როგორ ავარიდოთ ყური მშობლების გამონათქვამებს: „სკოლაში აღზრდა კი არა, სწავლაც ფიქტიურიაო“, ხშირად რომ წუნუნებენ...

ერთი სიტყვით, არ არის საშველი! ვინ არის ჩვენში ადამიანის აღზრდაზე პასუხისმგებელი? პასუხი მაინც ასეთი იქნება: ოჯახი და სკოლა. დიხ, მაგრამ... სახელმწიფო, ბატონებო, სახელმწიფო! — შეგვახსენებს მავანი და მავანი. რა თქმა უნდა, არ არის საჭირო, რომ სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს თანამედროვე, დახვეწილ განათლების კერებზე და იზრუნოს იმაზეც, რაც შეიძლება მეტი ძლიერი, მდიდარი და ჯანსაღი ოჯახი ჰყავდეს ქვეყანაში. აღზრდა იწყება ოჯახიდან, მაგრამ ოჯახი ველური მცენარე როდია, თავისით რომ აღმოცენდეს, თუმცა, იგი მართლაც ჰგავს ნერგს, დარგავ და თუ არ მოუვლი, არ მორწყავ, შესაბამისად ნიადაგს არ გაუფხვიერებ და არ გაუმდიდრებ, არც გაიზრდება და მით უფრო, ნაყოფს საიდან მოგცემს. ნორმალურ ქვეყნებში სახელმწიფო ლეზულობს პასუხისმგებლობას როგორც ოჯახის ჩამოყალიბებაზე, ასევე თითოეულ ადამიანზე, თითოეულ მოქალაქეზე. ამავ დროს, ეს უკანასკნელიც ვალდებულია, იტვირთოს პასუხისმგებლო-

მა მოლაღატე ცოლზე შური იძია და მერე მიატოვა ისინი, ცოლიც და შვილიც. არც ბაბუაა ის ადამიანი, აღზრდელად რომ გამოდგეს, ლოთია. და ასე იზრდება ამ საშინელ გარემოში, შეურაცხყოფილი, მშობლიურ სიყვარულსაც კი მონატრებული, მაგრამ შინაგანი ბუნებით დაჯილდოებული, მშვიდი, წყნარი და მორიდებული გოგონა — როზინი. იგი თავისებურად შრომობს, იღებს შეკვეთებს, მძივებს ასხამს ძაფზე და ამ საქმიანობაში, კიდევ კარგი, რომ პურის ფულს უზღის ვიღაც კეთილი ადამიანი. სულ სახლშია, მხოლოდ ზოგჯერ, მისივე დაუნიხებელი თხოვნით, ბაბუას მიჰყავს პარკში, დასვამს ერთი ხის ქვეშ, სადაც სალამოდ, უკვე კარგად შეზარხოშებული ბაბუას მობრუნებამდე, მძივების ასხმით ირთობს თავს. ამ მდგომარეობაში მყოფს, ერთ მშვენიერ დღეს მას შეინიშნავს შავკანიანი ახალგაზრდა (მსახიობი — სიდნეი პუატიე), რომელსაც აქვს განათლება, სამსახურიც და, ამდენად, შემოსავალიც, სახლიც და კარიც... ეს არ არის მთავარი. მთავარია ის,

პასუხისმგებლობის ბრძოლა-

ეს მოსაპარია!



ბა სახელმწიფოს მიმართ და ამასაც სახელმწიფო ან ესტრეგებს თავისი კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

ყველამ ვიცით სახელმწიფოს არსებობის ეს ანბანი. ჩვენ ერთი რამ გვანტრევსებს, რა არის პასუხისმგებლობა, კანონით დაკისრებული ვალდებულება? რა თქმა უნდა! მაგრამ ხომ არის კიდევ რაღაც სხვა უამრავი ნიუანსი ადამიანურ ურთიერთობებში, რომელსაც კანონებში ვერ ასახავ. ამ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობ ახლა თქვენთან ერთად, ჩემო მკითხველო. ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა კულტურის ის ელემენტია, რომელიც აღზრდის პროცესში ყალიბდება. თუმცა, ის არც ადათ-წესია და არც ეთიკის რაიმე ნორმა. პასუხისმგებლობა ადამიანის შინაგანი ბუნებაა, ფსიქიკური ნაწილი, თანდაყოლილი მარცვალი, რომელიც აღზრდის ნორმალურ პირობებში გალავრდება და განვითარდება, სხვა შემთხვევაში კი ის ილუპება, როგორც მწირ ნიადაგში ნებისმიერი საჯიშე თესლი. ზოგჯერ მგონია, რომ პასუხისმგებლობა არის ნიჭი, იშვიათი და თავისთავადი, რომლითაც განგება მხოლოდ ერთეულებს აჯილდოებს.

დროა, მთავრობამ გვანახოს და დანვრილებით გააშუქოს თუ რა გააკეთეს ქვეყნისათვის სასარგებლოდ და რას გააკეთებენ სვალ, თორემ გამუდმებით თავის მართლების პოზიციაში ყოფნა იმ პარტიის წინაშე, რომლის გასამართლებასაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვდა და დღემდე ითხოვს, არა მგონია, რომ ავტორიტეტს მატებდეს ჩვენს ხელისუფლებას.

რომ ამ ყმანვილს აღმოაჩნდება კეთილი გული და მალაღობა ზნეობა. და იმდენად ღირსეულად ექცევა იგი ბრმა გოგონას, იმდენად შარავანდედოსილია მისი კეთილშობილება, რომ არ შეიძლება მასურებელი გულგრილი დარჩეს და თავადაც არ გაეზვიოს ამ ლამაზი და ამაღლებული გრძობების შარავანდედში. გოგონას უსაზღვროდ შეუყვარდება ყმანვილი, მზად არის დარჩეს მასთან, ცოლად გაჰყვეს მას, ასევეა შეყვარებული ვაჟიც, მაგრამ პასუხისმგებლობა და ადამიანობა ახალგაზრდა კაცს არ აძლევს უფლებას ისარგებლოს გოგონას ნდობით... იცის, რომ მათ ქორწინებას — (გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი, 18 წლის გოგონას და საჯარო მოსამსახურის, ისიც შავკანიანის ქორწინებას) არც მისი მსახურრიდან და არც სხვა ინსტიტუტებიდან დაეჭვებისა და მითქმა-მოთქმის გარეშე, არ მოჰყვება სასურველი გამოძახილი და იგი, როგორც ერთგული პატრონი და ერთგული მძღვარი, არ დააბრუნებს როზინს იმ სახლში, სადაც შეურაცხყოფისა და ძალადობის მეტი არაფერი მიუღია და საკუთარი ხარჯების გაღებით გოგონას, საესებით მიზანდასახულად სკოლაში ჩაარცხვინებს.

დაბალი ფენის წარმომადგენელთა დრამატული ცხოვრება, სიღარიბე, ძალადობა, უხეშობა — აი, ის თემები, რომელსაც ეხება ფილმი და ამის პარალელურად იქვე იბადება სიბრაღის, სიყვარულის, მეგობრობისა და ერთგულების ლამაზი გრძობები, მაგრამ რეჟისორის აქცენტები მაინც ძირითადად მიჰყრბობილია ადამიანის პასუხისმგებლობისადმი, რომელსაც ასე სათუთად და ფაქიზად წარმოგვიჩვენს მთავარი გმირი. როგორც ჩანს, რეჟისორისთვის მოყვასისადმი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანი თემაა... ეს კინოსურათი ახლახან ვნა-

სე, თორემ ქართულ ხელოვნებაში თუ მწერლობაში რა დაღვეს ამ თემისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ტილოებს. თუნდაც, აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ გავისხნოთ. მეგობრობის — საფარ-ბეგის სულმოკლეობამ და უზნეობამ მოულოდნელი, შემზარავი ფაქტის წინაშე დააყენა ბათუ, მაგრამ იგი თავს არ კარგავს და შეურაცხყოფისა და მოლაღატის დასჯის გაცილებით დამთრგუნველ ხერხს მიმართავს, ვიდრე მისი ფიზიკური განადგურება: აგზავნის გამზრდელთან, შავი-უსუპთან, რათა უამბოს მას ჩადენილი ცოდვის შესახებ. ვინ არ იცის და ვის არ ახსოვს საფარ-ბეგის აღსარების შემდეგ გამზრდელის პასუხი: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდისარ“ და თავისი აღზრდის უზნეობითა და უპასუხისმგებლობით შეძრულ-შეძრუნებული გამზრდელი თავს იკლავს...

უზნეობა და უპასუხისმგებლობა! — შემთხვევით არ მოსულა ეს თემები ჩემთან. დღისით, მზისით, საზოგადოების თვალწინ ისეთი სცენები თამაშდება და უზნეობის ისეთ მაგალითებს გვაჩვენებენ (და გვაჩვენებენ ის ადამიანები, რომლებიც პირდაპირ ევალებათ საზოგადოების როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ სისუფთავეზე ზრუნვა), რომ ყოველად შეუძლებელია იმ შედეგს მივალნოთ, რომლისთვისაც ვითომც ისინი შრომობენ, იღვნიან და ზრუნავენ... საცა სამი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა ყოფილ მთავრობას და აირჩია ახალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადად არაფერი შეცვლილა. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლამდე გულუხვად გვპირდებოდნენ, თვალდახეულშუა გაგვიქრა. შემოგვრჩა ორი ბანაკის, — ძველი და ახალი მთავრობის დაუსრულებელი კამათი: არა შენა ხარ ქვეყნის დამქცევი და არა შენ... და, მგონი, ვერც ერთი ვერ ხვდება, რომ მათი დაუსრულებელი დავა და აგრესია, მერე ყოველივე ამის საჯაროება და სანახაობების მოწყობა ჟურნალისტების მიერ, არის ამორალობა და უზნეობის ტირაჟირება... ჩვენ, ხალხი, ვფიქრობთ, რომ დროა, მთავრობამ გვანახოს და დანვრილებით გააშუქოს თუ რა გააკეთეს ქვეყნისათვის სასარგებლოდ და რას გააკეთებენ სვალ, თორემ გამუდმებით თავის მართლების პოზიციაში ყოფნა იმ პარტიის წინაშე, რომლის გასამართლებასაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვდა და დღემდე ითხოვს, არა მგონია, რომ ავტორიტეტს მატებდეს ჩვენს ხელისუფლებას. არც ხალხსა და არც ქვეყნის საქმეს ეშველება ამით რაიმე.

დავანებოთ პარტიებს თავი, ვისაუბროთ ადამიანებზე. განა ის პარტიები ადამიანები-საგან არ შედგებიან, ჩვენი მოქალაქეებისაგან, რომლებიც ჰყავთ მშობლები, დები, ძმები, ნათესავები, რატომ არის, რომ ბევრი მათგანი არ გრძობს პასუხისმგებლობას თუნდაც ერთმანეთის მიმართ და, რაც მთავარია, შეილებს, მომავლის წინაშე. რატომ ატყუებენ ყველას და წირავენ ყველაფერს მხოლოდ იმისათვის, რომ მუდამყამ მაღალ ემულიონებში იყვნენ, საკარდებში ისხდნენ და ზემოდან დაჰყურებდნენ მათ მიერ აბუჩად აგებული ხალხს. რატომ გაიძახიან: მართალია კი დავაშავეთ, მაგრამ აწი რომ მოკვალთ ქვეყნის სათავეში, გამოცდილებით აღჭურვილები, ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანას აგიშენებთო. ესენი (ახლანდელი მთავრობა) კი ვინ არიან, უცოდინარნი და უუნარონი, ხომ ხედავთ რამდენი ყველგობები ხდებაო, და ასე შემდეგ... ასე ჩაგვძახიან. ვფიქრობ, რომ ბევრი რამ ავიწყდება და ავიწყდებათ ისიც, უაღრესად განვითარებული სახელმწიფოებშიც რომ ხდება მკვლელობები და სხვა უბედურებანიც... განა შეიძლება დავივიწყოთ იმ ქვეყნებში მომხდარი ტრაგედიები, რომლებიც ჩვენც კი შეგვეხო, როდესაც ჩვენი უცოდველი გოგონები დაიღუპნენ და სხვა მრავალი? უცოდველი მთავრობა არ არსებობს, მაგრამ მიმავალი თუ მომავალი მთავრობები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საზოგადოებისადმი მეტ-ნაკლები პასუხისმგებლობით, ქვეყნის მტკიცე და სწორი მეტ-ნაკლები მმართველობით. გააჩნია როგორი ადამიანები შეიკრიბებიან იქ, „გაცემა და არა შური, ჩუქებისა არ მომწყენნი“ თუ პირიქით, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად მოსულნი.

და მაინც, ყველგან და ყველაფერში პასუხისმგებლობის გრძობაა მთავარი! ვიცით, რომ ამ მარტივ მიმოთვალებაში ჩემი ძვირფასი მკითხველებიც დამეთანხმებიან...

გულნარა სტურუა

გელა დუმბაძე სტრასბურგში მხსენებდა ქართველებს უხვდა

დინასტორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე სტრასბურგში მცხოვრებ ქართველებს უხვდა.



სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას გერმანიის ქალაქ კარლსრუედან ჩასული ქართველებიც დაესწრნენ.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, სახელმწიფო მინისტრმა აპარატის მიერ განხორციელებულ სამუშაოებსა და დაგეგმილი პროექტების შესახებ ისაუბრა. მან ასევე სტრასბურგში მცხოვრები ქართველების წინაშე არსებული პრობლემები მოისმინა.

„ჩვენმა თანამემამულეებმა გელა დუმბაძეს გერმანიიდან საქართველოს საზაფხულო ბანაკებში ბავშვების ნაკადის გაზრდის თხოვნით მიმართეს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ნარკოტიკების წყალსაცავს რეაბილიტაცია უტარდება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია რწყვის სეზონის პარალელურად, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციას აგრძელებს.

კომპანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის მუნიციპალიტეტში ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაცავების აღდგენა-რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტით გათვალისწინებულია კაშხლის სადამსრუკი ფერდის დაზიანებული უბნების აღდგენა; კატასტროფული წყალსაცავების თხემისა და დამენყრილი კალაპოტის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ექსპლუატაციის სამსახურის შენობის, კაშხლის ქვედა ბიემთან მისასვლელი გზის და მექანიკური ნაწილის რეაბილიტაცია.

მიმდინარე სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 7 სოფლის (მჭადიჯვარი, შუახევი, ლამოვანი, ცხენდავი, წინამურა, ძაღლის ნაწილი, მუხრანის ნაწილი) 1 600 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება წყლის მიწოდება. აღნიშნული ფართობით დაახლოებით 3 000 მოსახლე ისარგებლებს.

ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაცავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და 2016 წელს დასრულდება. პროექტის ღირებულებაა 4 384 999 ლარი.

პირველკლასელთა რეგისტრაცია 23 აპრილიდან დაიწყო

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა საუბრისას განაცხადა, რეგისტრაცია, გასული წლების მსგავსად, წელსაც სამეტაბიანი იქნება.



მისივე ინფორმაციით, პირველ კლასზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომელთა მშობლებიც სკოლებში მუშაობენ, რომელთა და-ძმა უკვე სწავლობს სკოლაში, თუ ისინი ტყუილები არიან.

პირველკლასელთა რეგისტრაციის სრულ რეგისტრაციის სრულ განრიგს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხვალ გამოაქვეყნებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტმა სხვა- დასხვა ჯიშის ხის ნერგები შეიძინა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, 35 ძირი ცაცხვის, 20 ძირი კედრის და 10 ძირი კატალპის, 17 ძირი ღვინის ხის ნერგები ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში, შინ მოუსვლელთა სკვერისა და ე.წ. დიდი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო.

ნარგავების დარგვის აქციაში მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ცენტრალური პარკის თანამშრომლებმა, საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა, და ქ. ბორჯომის მოქალაქეებმა.



„თი-ბი-სი ბანკი“ სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივებს სხსებით დააფინანსებს

სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს, რომლებსაც ინდივიდუალურად ხელი არ მიუწვდებოდათ ან ვერ ახერხებდნენ სესხის აღებას და სტრატეგიული წარმოების საშუალებების დაფინანსება, ამიერიდან შეუძლიათ კოოპერატივის სტატუსით აიღონ „თიბისი ბანკის“ შეღავათიანი აგროსესხი უკუფურად და დაფინანსონ საკუთარი წარმოება. „თიბისი ბანკის“ ინფორმაციით, ამ სესხს ორი ძირითადი უპირატესობა აქვს სოფლის მეურნეობის მწარმოებელთათვის.

„სესხის მომსახურებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კოოპერატივში შემავალ ყველა სუბიექტზე თანაბრად, რაც სესხის დაბალრისკიანობას განაპირობებს. ეს არის ყველაზე იაფი აგროსესხი, რომლის წლიური პროცენტი ნაწილობრივ დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, რაც ამ სესხის სიიარაღს განაპირობებს.



სოფლის მეურნეობის მწარმოებელთათვის იაფი დაფინანსების ხელშეწყობა ხელს შეუწყობს ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას, რათა საქართველოში წარმოებული პროდუქცია, იმპორტირებულთან შედარებით, იყოს კონკურენტუნარიანი.

„თიბისი ბანკის“ აგროსესხები ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში შექმნილი კოოპერატივებისათვის – ეს არის მემცენარეობა, მეთევზეობა და მეცხოველეობა. იაფი აგროსესხის მინიმალური ზღვარი 20,000 ლარია. სესხის აღება შესაძლებელია როგორც საბრუნავი საშუალებების, ისე წარმოების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად. სახელმწიფო სუბსიდიის პირობებში, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი მომხმარებლისათვის საბრუნავ საშუალებებზე 6-7%-მდე, ხოლო ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად 3-4%-მდე იქნება. კოოპერატივად დარეგისტრირება მაღალმთიან რეგიონებში მინიმუმ 3 სუბიექტს შეუძლია, ხოლო ბარში მინიმუმ 5 სუბიექტს.

კოოპერატივებისათვის აგროსესხების პროექტი „თიბისი ბანკმა“ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა.

ბელარუსი აჭარისთვის მნიშვნელოვან ტურისტულ ბაზრად მოიაზრება

მიმდინარე წლის აპრილის თვეში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ბელარუსის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა Leisure-2015-ზე იყო წარდგენილი.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, 4 დღის მანძილზე რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით სპეციალურად აღმართული სტენდი დამთვალიერებელთა სიმრავლით და ღონისძიებების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

გამოფენის მსვლელობისას დეპარტამენტის სტენდთან სტუმრებს შეეძლო ღვინისა და საჭაპურის დაგემოვნება, ასევე სპეციალურად მინსკის გამოფენისათვის შექმნილი ტრადიციული აჭარული სასმისის სტენდთან ფოტოების გადაღება. 10 აპრილს „ბელექსპოს“ საგამოფენო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია „აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის“ შესახებ, რომელიც ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობდნენ ბელარუსული ტუროპერატორი და ტურისტული კომპანია CAPITAL GEORGIA TRAVEL-ის წარმომადგენლები. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ბელორუსის რესპუბლიკაში გოჩა ჭელიძე და პირველი მდივანი ირაკლი მესხელი, ბელორუსის ეროვნული ტურისტული სააგენტოს დირექტორის მოადგილე სვეტლანა გავრილოვა, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები, 80-ზე მეტი ტუროპერატორი, ტურაგენტი და ჟურნალისტი.

ბაგრაჟივული ქართველი მოსწავლეები სწავლას ბრიტანეთში გააგრძელებენ


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში HMC პროექტის გამარჯვებული კანდიდატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

გამარჯვებულ კანდიდატებს, რომლებიც ბრიტანულ სკოლებში ერთწლიან კურსს გაივლიან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა სერტიფიკატები გადასცა.

განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი საქართველოში კომპანია „Unique Learning“-ის მხადაჭერით ხორციელდება. Unique Learning, HMC Project ერთადერთი ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. სამინისტროს ცნობით, HMC არის ბრიტანული სახელმწიფო საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც 1991 წლიდან აფინანსებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმატებული მოსწავლეების სწავლებას გაერთიანებულ სამეფოში. პროექტი საქართველოში კომპანია „Unique Learning“-ის მხარდაჭერით მესამე წელია, ხორციელდება. პროექტის ფარგლებში 2015 წლის კონკურსის საფუძველზე 14 გამარჯვებული კანდიდატი გამოვლინდა, რომლებიც სწავლას ბრიტანეთში გააგრძელებენ.

ინტერპრესი

დადაინიცის ზურგზე



ეპიპატიოს ყოფილ პრეზიდენტს მუხრანის მუხრანის 20 წლის პატივგადასცემენ

მუხრანის ალიარეს დამნაშავედ პრეზიდენტის სასახლე „ალ-იტიპადიას“ მახლობლად ტრაგიკული მოვლენების საქმეში 2012 წლის შემოდგომაზე, ეგვიპტის დედაქალაქში. სახელმწიფოს ყოფილი ხელმძღვანელის გარდა, ციხეში გაიგზავნა კიდევ „ძმები – მუსლიმანების“ ორგანიზაციის 12 ლიდერი.

აჭარის ავტონომიური რაიონის მოსკოვი გააძვირებს 70 წლისთვის ღვინისა და ხაჭაპურის



ამის შესახებ განაცხადა ილჰამ ალიევის პრესმდივანმა. მისი სიტყვებით, აჭარის ავტონომიური რაიონის მთავრობის მიერ მოხდის წინააღმდეგობა მისი და უმაღლესი მისცა თანხმობა სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, სამხედრო აღლუმშიც წითელ მოედანზე.

სიხილის ყურეში სომალ- დის ავარიის ღირს 800 ქაბი დაიღუპა



სომალდის ჩაიძირა 200 კილომეტრზე კვირას, 19 აპრილს იტალიის კუნძულ ლამპედუზის სამხრეთში. გადარჩა მხოლოდ 28 კაცი, 2 მათგანი დააპატიმრეს – მამაკაცებზე ეჭვი აქვთ, რომ ისინი ადამიანებით ვაჭრობდნენ.

აქრონის პრეზიდენტმა განაცხადა მდივანის განიხილეს ღონისძიების მშენებლობის საკითხი

უკრაინის პრეზიდენტმა ტელეფონით ისაუბრა პან გი მუნთან და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტთან ჯოზეფ ბაიდენტთან. ამ უკანასკნელის სიტყვებით, ვაშინგტონი მზადაა, მისცეს კიევს საკრედიტო გარანტიები ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით საფინანსო მხარდაჭერის ფარგლებში 2015 წელს.



როდესაც ქ.ბრესტში ვიყავით, მოვი-
ნახულეთ ადგილობრივი საშუალო სკო-
ლა № 30, რომელიც ჩვენი თანამემამულის
დიმიტრი გვიშინის სახელს ატარებს. ამ
სკოლაში დღეს 1200 გოგონა და ბიჭი
სწავლობს. ბელარუსის სამხედრო აკადე-
მიის მეორე კურსის კურსანტი დიმიტრი
გვიშინი შვებულების შემდეგ ბრუნდუ-
ბოდა ქ.ბრესტიდან, სადაც ის დაიბადა,
მინსკში. უკვე ბნელოდა, როდესაც მათა-
რებელმა, რომლითაც ის მოდიოდა, მკვეთ-
რად დაამუხრუჭა. დიმიტრი გვიშინმა
თავის მეგობარ კურსანტებთან ერთად გა-
იგონა ყვირილი: „ხანძარი! ხანძარი!“ გამ-
ცილებელმა ქალმა უმაღლესე გახსნა ვაგო-
ნის კარი და ძირს ჩამომხტარმა ბიჭებმა
დაინახეს ცეცხლში გახვეული თბომავა-
ლი. დიმიტრი გვიშინი არ დაიბნა, გაქან-
და ცეცხლსაქრობისკენ, თან თანაკურსე-
ლებს ეძახდა, ვაგონებიდან ხალხი გამო-
იყვანეთო. იწვოდა „ბრესტი-მინსკის“ მა-
ტარებლის თბომავალი. შვებულების
დრო იყო, მათარებელი გადაჭედული იყო
მგზავრებით, უამრავი ბავშვით... აი უკ-
ვე დაიცალა მორიგი ცეცხლამქრობი. გვი-
შინი ახლისთვის გაიქცა. გრძელდებო-
და კურსანტების უთანასწორო ბრძოლა
ცეცხლთან, რომელიც ყოველ წუთს სულ
უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ვიღაცამ
დაიყვირა: „ახლა აფეთქდება, გავეცა-
ლოთ“, რომ საშინელი აფეთქების ხმა გა-
ისმა – აფეთქდა თბომავალის სასათბუ-
რი ზაკი, გადმოიღვარა ათობით ლიტრი
ადუღებულ ზეთი, მასთან ყველაზე
ახლოს დ.გვიშინი იყო...

სამხედრო ჰოსპიტლის ექიმები სამი
დღე იბრძოდნენ მამაცი კურსანტის გადა-
სარჩენად. მთელი ამ ხნის განმავლობაში
არავის გაუგონია ქართველი ჯაბუკის ჩი-
ვილი ან კვნესა. ის 1999 წლის 1 სექტემბერს
გარდაიცვალა. დიდი პატივით დაკრძალეს
ქ.ბრესტში.

გასაოცარი მამაცობისა და პირადი თავ-
დადებისთვის, რომელიც ხანძრის დროს
აღამიანთა გადასარჩენად გამოიჩინა,
კურსანტი დიმიტრი გვიშინი სიკვდილის
შემდეგ დააჯილდოვეს ორდენით „პირა-
დი მამაცობისთვის“. იგი გმირის მამას ბო-
რის გრიგოლის ძე გვიშინას, შვილს მე-
ომრისა, ვინც ბელარუსის გათავისუფლე-
ბისთვის იბრძოდა – ქვეყნის პრეზიდენ-
ტმა ა.გ.ლუკაშენკომ გადასცა. ჩვენი მამაცი
თანამემამულის სახელს ატარებენ ქუჩე-
ბი ბრესტსა და მინსკში, სადაც ათი წლის
წინათ სამხედრო აკადემიის ტერიტორი-
აზე გაიხსნა დიმიტრი გვიშინის ძეგლი.
ქ.ბრესტში, ხეივანში, რომელიც ასევე ჩვე-
ნი თანამემამულის სახელს ატარებს, ამ
ცოტა ხნის წინათ დარგეს მუხის 6 წერ-
გი, რომელიც საქართველოდან ქართული
სათვისტომოს ხელმძღვანელმა ქართლოს
ქავთარაძემ ჩამოიტანა.

ბრესტის სარკინიგზო ტექნიკის მუზე-
უმში ის თბომავალი გვიჩვენეს, რომელ-
ზე გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობადაც 1999
წლის 28 აგვისტოს დაიღუპა ჩვენი მამაცი
თანამემამულე. ბელარუსის რკინიგზის
ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით,
გარემონტებულ თბომავალს მიანიჭეს
სახელწოდება: „კურსანტი დიმიტრი გვი-
შინი“. თბომავალ ტემ-6N-774-ს მათარე-
ბელი „მინსკი-ბრესტი“ დაჰყავდა, ორი
წლის წინათ კი, როდესაც ამოწურა მთელ
რესურსი, ის დააყენეს მუდმივ გაჩე-
რებაზე ბრესტის მუზეუმში, როგორც დი-
მიტრი გვიშინის გმირობის სიმბოლო,
რომელიც ბრესტის ციხე-სიმაგრის ლე-
გენდარული დამცველების სიმამაცეს
უტოლდება...

ბელარუსი – ესაა ქვეყანა, რომელსაც
შეუძლია და აქვს უნარი დააფასოს გმი-
რობა და მამაცობა არა მხოლოდ მკაცრი
გამოცდების წლებში, არამედ დღევანდელ
დღის აბსოლუტურად მშვიდობიან
მიწვევებშიც. შარშან ბელარუსში საზე-
იმოდ აღნიშნეს ჩვენი თანამემამულის
ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჭანტურის
დაბადების 90 წლისთავი. უდიდესი ბელა-
რუსი არქიტექტორი ვ.ა.ჭანტურია იყო ქა-
ლაქების გროდნოსა და ვიტებსკის ომამ-
დელი ისტორიული ცენტრების დეტალურ
დაგეგმვის ავტორი და თანაავტორი.
მისი ხელმძღვანელობით მოხდა ბელარუ-
სის ისტორიული ხუროთმოძღვრების
ძეგლების გაზომვები. ვლადიმერ ჭანტუ-
რის სახელს, ის 1988 წელს გარდაიცვა-
ლა, ატარებენ გროდნოსა და ვიტებსკის
ქუჩები. ცნობილი არქიტექტორის, არქი-



პირველ მსოფლიო ომში დაღუპული მ-14
ბრანდერტის ქართული პოლკის მებრძოლის
აკაკი ოთხეჯუარის საფლავთან. მარცხნიდან:
დავით ზალკალიანი და როლანდ ქავთარაძე,
რომლებიც საქართველოდან ჩამოტანილ
მინას აყრიან გმირის საფლავს.

სიკეთისთვის დაბადებულნი

ტექტურის ისტორიკო-
სის, პედაგოგის, ბელა-
რუსის სახელმწიფო
პრემიის ორგზის ლაუ-
რეატის, პროფესორ
ვა.ჭანტურის შრომებ-
ზე მოთხოვნები დღემ-
დეა...

**გაცნობი ბელარუსი
ოვნი დაღუპულ
და დღეს იმ მსოფრავ
ქართველებს**

ბელარუსის კულტურის სამინისტრო-
ში კარგად იცნობენ ქართველი მსახიობე-
ბის მალა პირველი ოსტატობას. აქ მეტად პოპუ-
ლარულია ნანი ბრეგვაძის, თამარ გვერ-
დნითელის, ბუბა კიკაბიძის, ჯემალ სეფი-
აშვილისა და ბევრი სხვა სახელოვანი
ხელოვანის სახელი. აქ ხშირად არიან
გასტროლებზე საქართველოს თეატრა-
ლური კოლექტივები. თავად ბელარუსში
სიამაყით დაგისახელებენ იმ ქართველე-
ბის სახელებს, რომლებმაც სახელი გაუთ-
ქვეს არა მხოლოდ მშობლიურ საქარ-
თველოს, არამედ ბელარუსსაც.

„მუსიკის რაინდი“, „მუსიკის მეფე“ – რა
სიყვარულითა და დიდებით არ წარმოთ-
ქვამენ ბელარუსში ჩვენი თანამემამულის
ანდრო მდივნის სახელს. ანდრო დაიბა-
და თბილისში 1937 წლის 1 ოქტომბერს.
1969 წელს დაამთავრა ბელარუსის კონ-
სერვატორია, შემდეგ იქვე
– ასპირანტურაც. მუშაობდა რუსეთის
სხვადასხვა თეატრში. 1993 წლიდან ანდ-
რო მდივანი – ბელარუსის მუსიკის სახელ-
მწიფო აკადემიის კომპოზიციის კათედ-
რის პროფესორია. გვიბლავს ანდრო
მდივნის ტიტულები და ნოდებანი: ბელა-
რუსის სსრ ხელოვნების დამსახურებუ-
ლი მოღვაწე, ორი სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი(1982-1996), ბელარუსის რეს-
პუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური
პრემიის ლაურეატი ნომინაციაში „მუსი-
კალური ხელოვნება“ (2008). თავისი შე-
მოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლის მან-
ძილზე ანდრო მდივანმა 250-ზე მეტი მუ-
სიკალური ნაწარმოები შექმნა. პირდაპირ
გინდა წამოიყვირო: „ბრავო, მაესტრო!“
აი, უკვე მეხუთე წელია ბელარუსის ოპე-

რისა და ბალეტის
ეროვნული აკადემი-
ური დიდი თეატრის
მთავარი რეჟისორია
მეორე ჩვენი თანამე-
მამულე, 45 წლის
მიხეილ ფანჯავიძე.
ბელარუსში მიწვე-
ვამდე ის მუშაობდა მოსკოვში, დიდ თე-
ატრში. მინსკში ბატონმა მიხეილმა დადგა
თავის პირველი სპექტაკლი – ჯუზეპე
ვერდის ოპერა „ნაბუკო“, შემდეგ „აიდა“,
„ტოსკა“, „პრინცესა ტურანდოტი“ და „მეშ-
ვიდე ლეგენდა“. ნიჭიერ ქართველ რეჟი-
სორს გეგმაში აქვს კიდევ რამდენიმე სა-
ოპერო სპექტაკლი, რომელთა დადგმასაც
ის აპირებს მოსკოვში გაიხად. როგორც
საოპერო ხელოვნების მცოდნეები აღნიშ-
ნავენ, მინსკში ასეთი დიდი ოსტატი რე-
ჟისორი ვერ არ ყოფილა!...

ამაყოფენ ბელარუსში თავიანთი
სახელოვანი თანამემამულით, აკადემი-
კოს ვახტანგ დიმიტრის ძე ვაჩნაძით, რო-
მელიც კოსმოსის დაპყრობისა და ათვი-
სების, საბჭოთა სარაკეტო-კოსმოსური
ტექნიკის ჩამოყალიბებისა და შექმნის სა-
თავეებში დგას. გასული საუკუნის ორ-
მოცდაათიანი წლებიდან სიცოცხლის
უკანასკნელ დღეებამდე სერგეი პავლეს
ძე კოროლიოვის ერთგული მოსწავლე,
თანამოაზრე და მოსწავლე იყო
ვ.დ.ვანაძე. ის დაიბადა ბელარუსში, ქა-
ლაქ ბობრუსკში სამხედრო მფრინავ გი-
ორგი ვანაძის ოჯახში. მამით ქართვე-
ლი და დედით ბელარუსი ვახტანგ ვანაძე
მიიჩნევის, რომ მას აქვს სამი სამშობლო
– საქართველო, სადაც ის ცხოვრობდა და
დაამთავრა თბილისის 43-ე საშუალო
სკოლა; ბელარუსი, სადაც ის დაიბადა და
რუსეთი, სადაც ცხოვრობს და მოღვაწე-
ობს სამოცხუე მეტი წელია. შარშან 20 ი-
ვნისს, აკადემიკოს ვ.დ.ვანაძეს – ერთ-ერთ
ყველაზე სახელგანთქმულ ქართველს, ვი-
სი შეგნებული ცხოვრებაც მიმდინარეობ-
და დამაშინებელი გრიფით „სრულიად



სტუმრად დიმიტრი გვიშინის სახელობის
ბრესტის 30-ე საშუალო სკოლაში.

საიდუმლოდ“ – 85 წელი შეუსრულდა.
ბელარუსის გენერალურ პროკურატუ-
რაში დღემდე განსაკუთრებული სიბო-
თი იხსენებენ ლერი გერმანეს ძე თალაკ-
ვაძეს, რომელიც მრავალი წლის განმავ-
ლობაში (1985 წლამდე) მუშაობდა იქ მა-
ლალ და პასუხსაგებ თანამდებობაზე. წი-
ნისტორია ასეთია. საქართველოში არ-
ცთუ მრავალ პრინციპულ და პატიოსან
პროკურორს შორის იყო ლერი თალაკ-
ვაძე – წარსულში ქობილისის პროკურო-
რი, შემდეგ – ორზე მეტი წლის განმავ-
ლობაში – საქართველოს სსრ პროკურო-
რი. ცნობილი მიზეზების გამო, რასაც გო-
ნიერი მკითხველი მიხვდება თავად, ასე-
თი მაღალი განათლების იურისტს, რო-
გორც ამბობენ, თავის ქვეყანაში საქმე
ალარ ჰქონდა. ეს გაიგო ბელარუსის კომ-
პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირ-
ველმა მდივანმა პიოტრ მაშეროვმა, რო-
მელიც კარგად იცნობდა ბატონ ლერის
ბიძას – ვახტანგ თალაკვაძეს – ბელარუ-
სის ოკუპაციის წლებში პარტიზანული
მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და
ვისთანაც გვერდი-გვერდ არაერთი
ბრწყინვალე ოპერაცია განახორციელა.
სწორედ პ.მ.მაშეროვმა მიიწვია თავისთან
ლერი თალაკვაძე, რომელმაც წარმატებით
იმოღვაწა ბელარუსში, როგორც პატიო-
სან და პროფესიონალურ იურისტს შე-
ეფერება. საქართველოში 1985 წელს დაბ-
რუნებული ლ.თალაკვაძე მალე გარდაიც-
ვალა. ის მაშინ 53 (!) წლისა იყო...

ბელარუსის მედიცინა, ჯანმრთელობის
დაცვის სისტემა კარგადაა დღეს ცნობილი
მის ფარგლებს გარეთ. იქ მე ორი ქართ-
ველი მედიკოსი გავიცანი – მამა-შვილი
ზაგაშვილები. ისინი საქართველოს ყაზ-
ბეგის რაიონიდან არიან. ამ ზაფხულს
ვლადიმერ გიორგის ძე ზაგაშვილს 85 წე-
ლი შეუსრულდა. ის 16 სახელმწიფო ჯილ-
დოს კავალერია, სამედიცინო სამსახურის
პოლკოვნიკი, ბელარუსის დამსახურებუ-
ლი ექიმი. მისი შვილი – იგორ ზაგაშვი-
ლი მამის კვალს გაჰყვა. დღეს ის ერთ-ერთ
კვალიფიციური მედიკოსია, მედიცინის
მეცნიერებათა კანდიდატი. როგორც მამა,
იგორიც საქართველოს დიდი პატრიოტია.
შარშან იგორ ზაგაშვილმა მონაწილეო-
ბა მიიღო თავისი თანამოგვარეების, ნა-
თესავეების შეკრებაში, ყაზბეგში, თბილის-
ში კი ამ უძველესი გვარის წარმომადგენ-
ლები სრულიად საქართველოს კათოლი-
კოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო.
წელს ბატონმა იგორმა მოხოვა, გადამე-
ცა ყაზბეგის მუზეუმისთვის მასალები,
რომლებიც მის სახელგანთქმულ მამას
ეძღვნება, რაც მე დიდი კმაყოფილებით
შევასრულა.

ბატონი იგორ ზაგაშვილის წყალობით
გავიცანი ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი სვეტლანა კუპრაძე, რომელიც
დიდი ხანია, ბელარუსის სახელმწიფო
უნივერსიტეტში მუშაობს. წელს ის ამა-
ვე უმაღლესი სასწავლებლის ფილოლო-
გიის ფაკულტეტის კათედრის გამგედ
აირჩიეს. ჩვენს თანამემამულეებს ბელა-
რუსში, შეიძლება ითქვას, გადაჭარბების
გარეშე, შესვლებით საქმიანობის ყველა
სფეროში, მათ შორის, ძალოვან ორგანო-
ებშიც. აქ კარგადაა ცნობილი მილიციის
პოლკოვნიკის ვიტალი სერგის ძე სუბე-
ლიანის სახელი, რომელიც ბელარუსის
რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინის-
ტროს განსაკუთრებულ მნიშვნელოვან
საქმეთა განყოფილების უფროსად მუშა-
ობდა. მისი მოღვაწეობის შედეგი მრავალ-
რიცხოვანი ჯილდო და სიკვლია. ამ-
ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროში მი-
სი შვილი მსახურობს...

გული მევესებოდა სიამაყით, როდესაც,
არა მხოლოდ მინსკში, ხშირად მესმოდა
ბელარუსში ძმების – ვლადიმერ და სერგი
სოხაძეების კეთილი საქმეების შესახებ.
ომის წლებში სახელგანთქმული პარტი-
ზანის და ამ ქვეყნის დანგრეული სახალხო
მეურნეობის აღდგენის ერთ-ერთი ხელ-
მძღვანელის, ამბროლაურის რაიონის სო-
ფელ აბანოეთის მკვიდრის შალვა ერას-
ტის ძე სოხაძის ვაჟიშვილები თავიანთი
მამის ღირსეული შვილები აღმოჩნდნენ.
ძმები სოხაძეების შესახებ ბევრი რამ მი-
ამბო მინსკის საოლქო აღმასკომის თავ-
მჯდომარე სემიონ შაპირომ.

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
თაილისი-მინსკი-ბრესტი,
გროდნო-ვიტებსკი-გომელი-მომილიოვი.
(დასასრული იქნება)

ცურვა

„მქრო-პერსელი“ და ორი „ბრინჯაო“



ლის მედალი 400 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში (3.59,15) დაიბარა...

ასეთი შედეგით დაასრულეს ასპარეზობა ქართველმა მოცურავეებმა ბრესტში...



რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. შეჯიბრების მესამე დღეს 200 მეტრზე ბატერფლაით აკაკი ვაშაკიძემ (2.03,97) ჩემპიონობა მოიპოვა...

რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. შეჯიბრების მესამე დღეს 200 მეტრზე ბატერფლაით აკაკი ვაშაკიძემ (2.03,97) ჩემპიონობა მოიპოვა...

ლიანოა მოიპოვა, ხოლო თემურ კობახიძეს (2.05,47) ბრინჯაოს მედალი ერგო.

რაგბი

„ლელო“ მებრძოლს ელის

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა: კიდევ ორი მატჩი და მედლების მფლობელთა ვინაობაც გაირკვევა...

ერთმანეთს. ორთაბრძოლა დაძაბულად წარიმართა და ჩემპიონებმა ქულით სძლიეს მეტოქეს - 22:21. „ლელო“ დიდ ფინალში გავიდა...



ზობენდენ. „ყოჩები“ ყველას აჯობა და გაათამაშეს ცხრილის პირველ საფეხურზე მოქცევა, „ლელო“ კი ლიდერს ორი ქულით ჩამორჩა.

ფინალში „ლოკომოტივი“ და „ყოჩები“ ითამაშებენ. დამარცხებული ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდებიან, გამარჯვებული კი 9 მაისს „ოქროსთვის“ „ლელოსთან“ გაარკვევს ურთიერთობას.

გივი ბაბუა

ხელბურთი

„ყვარელი“ ჩემპიონია

წელიწადში 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობაში შვიდი გუნდი ჩაება. სამეტაპიანი ორთაბრძოლების შემდეგ ფინალურ ჯგუფში ოთხი საუკეთესო გავიდა...

„ყვარელი“: გუბელაძე, კუნელაშვილი - 7, თეთრაშვილი - 6, ქიტცხაშვილი - 5, თ. იორდანიშვილი - 3, მიხელიძე - 1, ს. იორდანიშვილი, კუპატაძე.

ჩოგოვაძე - 12, ჩახუნაშვილი - 5, ჩოხელი - 4, სარაჯიშვილი - 3, შოშიტაშვილი - 1, მორჩაძე - 1, ქებაძე, კახაია, ფაჩუაშვილი, ბერიძე.



ფოთი - პეგასი 21:26 „ფოთი“: კულაშვილი, შინკარენკო, გადელია - 10, სიხარულიძე - 7, ფარცვანია - 3, ჭითანავა - 1, ჯგერენია, ბერაია, ყუფუნია, სურგულაძე. „პეგასი“: ყაველაშვილი, ჩაჩუა, საბოლოო შედეგები (21 თამაშიდან): 1. „ყვარელი“ (38), 2. „მამული“ (34), 3. „პეგასი“ (29), 4. „ფოთი“ (12), 5. „წყალტუბო“ (7), 6. ქარიშხალი (6), 7. იმედი (4 ქულა).

ლაზა დიდა

კალათბურთი

„ჩიკაგო“ 2:0 დაწინაურდა

ზაზა ფაჩულის „მილუოკი ბაქზა“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აღმოსავლეთი კონფერენციის პლეი ოფის მეოთხედფინალის მეორე შეხვედრაც წააგო. მილუოკელთა გუშინდელ დაპირისპირებას „ჩიკაგო ბულვან“ 21:61 მაყურებელი დედსწრე დასაინტერესო ორთაბრძოლის მომხრეც შექცა.

პარკეტზე 23 წუთი გაატარა (სასტარტოში იყო) და „ხარირმებს“ 7 ქულით, 6 მოხსნით, 3 შედეგიანი პასითა და 2 ბლოკ-შოტით დაესმარა. ზაზამ 8-დან 3 ორქულიანი და ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. მატჩის მიწურულს ფაჩულია ჩიკაგოელ ნიკოლა მიროტიჩთან ბურთისთვის ბრძოლისას წაიკნადა, რისთვისაც ორივემ ტექნიკური ჯარიმა მიიღო. ზაზასთვის ეს მატჩში მეორე ტექნიკური იყო და მას პარკეტი ვადაზე ადრე დაატოვებინეს. „ჩიკაგოსა“ და „მილუოკის“ სერიის ანგარიში 2:0 გახდა.



მატჩის დიდმა ნაწილმა თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა. მეოთხე პერიოდში ანგარიში 74:71 იყო ჩიკაგოელთა სასარგებლოდ, როცა მასპინძლებმა ზედიზედ 13 უპასუხო ქულა დააგროვეს და საბოლოოდ 91:82 იმარჯვეს. გამარჯვებულთაგან საუკეთესო ფიში ბატლერი გახლდათ 31 ქულითა და 9 მოხსნით. ჩიკაგოელთა ესპანელი მეფარე პაუ გასოლი 11 ქულით, 16 მოხსნით და 4 ბლოკ-შოტით გამოირჩა, იანიკ ნოას აქტივში კი 19 მოხსნა, 6 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა. მილუოკელთაგან საუკეთესო მიდლტონი იყო 22 ქულითა და 6 მოხსნით. ზაზა ფაჩულიას რაც შეეხება, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ჩიკაგოს „იუნაიტედ სენტერის“ მომდევნო 2 მატჩი (პირველი 23 აპრილს) მილუოკიში ჩატარდება.

მომდევნო 2 მატჩი (პირველი 23 აპრილს) მილუოკიში ჩატარდება.

ეპროლიბა. მიოთხედფინალი.

„პანათინაიკოსი“ - ცსკა 86:85 (სერიის ანგარიში 2:1), „მაკაბი“ - „ფენერბახჩე“ 74:75 (დამატებით დროში. სერიის ანგარიში 0:3). თურქები ოთხთა ფინალში გავიდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

„იუვენს“ პორნოპარსკვლავები ქომაგობენ

ცნობილ პორნოსახიობებს ტერა პატრიკსა და ვიტორია რიზის ამქვეყნად იმდენი რამ უნახავთ, მხოლოდ მათი ჩამოთვლა გაგვანთლებს, მაგრამ ცხოვრება უცნაური შტრისებითაა სავსე და როგორც გაირკვა, ამ ქალებს საკუთარი საქმის გარდა იტალიური საფეხბურთო კლუბი ტურინის „იუვენტუსიც“ ყვარებით.



ტერამ და ვიტორიამ ამ რამდენიმე დღის წინათ განიერ მკერდზე მოირგეს იტალიური კლუბის მაისურები და განაცხადეს: ჩვენ „იუვენს“ ქომაგები ვართ და თუკი სხვები მხოლოდ სტადიონზე წივილ-კივილით შემოიფარგლებიან, ჩვენ მზად ვართ ალფერის ბიჭებს უფასო სექს-შოუ ჩავუტაროთ. ეს ქალბატონები მსგავს რამეს რომ ჩაიდინენ, ეჭვი ნურავის შეეპარება, მაგრამ საშიში ისაა, რომ მათ მიერ დაწინაურებული შოუ დაშოშიან ორგანოში არ გადაიზარდოს, რადგან ჩვეულება ისეთი რამაა, შეიძლება სულ არ გინდოდეს, მაგრამ თავისით აგაცუნდრუკოს და შეგახსენოს თავი.

როსტომ რაჭველიშვილი

გაყვანა გავი მოვლილი

საქართველოში ასურელი ბავშვების ჩამოყვანასთან დაკავშირებით, ქართველ დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. უმრავლესობის ნაწილი აცხადებს, რომ სირიაში მიმდინარე პროცესები საერთაშორისო პრობლემაა და ქართული მხარე პარტნიორებისგან დამოუკიდებელ გადამწყვეტილებას ვერ მიიღებს, ოპოზიციის ნაწილი ქრისტიანი ბავშვების მასპინძლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს, ხოლო მეორე ნაწილი მთავრობას მოუწოდებს მინიმალური რესურსი გამოიხაროს და დევნილები მიიღოს.

for.ge-ს ინფორმაციით, პარლამენტმა შესაძლოა, სირიაში მიმდინარე პროცესების თაობაზე, მათ შორის ქრისტიანი ბავშვების მკვლელობებთან დაკავშირებით განცხადება მიიღოს. თუმცა, ამ საკითხზე კანონმდებლები საჯაროდ, ჯერ-ჯერობით, არ საუბრობენ და აქცენტს ქვეყნის ფინანსურ რესურსზე აკეთებენ. როგორც for.ge-ს რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა განუცხადა, ქართული მხარე საქართველოში ასურელი ბავშვების ჩამოყვანასთან დაკავშირებულ საკითხს ერთი ხელის მოხმით ვერ გადამწყვეტს. დეპუტატის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე გადამწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს.

კანონმდებლის მოსაზრებით, სირიაში მიმდინარე პროცესები იმდენად დიდი საერთაშორისო პრობლემაა, რომ საქართველო პარტნიორებისგან დამოუკიდებელ გადამწყვეტილებას ვერ მიიღებს.

„საპარტიო მოსაზრება მოვისმინეთ, რომ დახმარება მათი პერსონალი არ არის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომენტარს ვერ გავაკეთებ იმიტომ, რომ მრევლის წევრი არ ვარ და ეს ჩემგან უხერხული იქნებოდა. დარწმუნებული არ ვარ, რომ საპარტიო ყველა ასე ფიქრობს. ამ წუთას ბურთი მთავრობის მხარესაა“, - დასძენს ბერძენიშვილი, რომლის მსგავსად დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყეშელაშვილიც, რომ ქრისტიანი ბავშვების საქართველოში ჩამოყვანის საკითხი მთავრობამ უნდა გადამწყვეტოს.

საკითხზე ჩამოყვანილებული პოზიცია არა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძეს. for.ge-სთან საუბარში ფოფხაძე ინტერესდება, თუკი ასირიელი ბავშვები უდემამოდ რჩებიან, მათ საქართველოში რატომ უნდა იცხოვრონ. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე for.ge-ს კითხვით მიმართავს, მედიის წარმომადგენლებს საიდან მოაქვთ ციფრები, რომ 500 ქართულმა ოჯახმა ასირიელი ბავშვების მასპინძლობის სურვილი გამოთქვა.

მას შემდეგ, რაც კვაჭანტირაძეს

უფრო კათოლიკეები ნუ გავხდებით! საკითხი არასწორად ისმება და ამ საკითხით სპეკულირება ხდება. დუმილი არ შეიძლება, მაგრამ ამ საკითხის პრივატიზებას ყველა ცდილობს და სამი სხვადასხვა აქციის გამართვა მოინდომეს“, - აცხადებს კანონმდებელი. კვაჭანტირაძის მოსაზრებით, საკითხზე საუბრისას სიფრთხილეს ააჩირო და ქართული მხარე მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ტერორისტები ქართული სახელმწიფოსკენ არ დაიძრნენ.

„ჩვენ ყველა დევნილის შემფარებელი ვერ ვიქნებით, მაგრამ რაღაც ნაბიჯების გადადგმა შეგვიძლია და თუკი ამას ხელისუფლება გააკეთებს, ამას ყველა მიესალმება. ბევრი ლოჯისტიკური საკითხები იქნება მოსაგვარებელი, თუმცა, სახელმწიფო ასეთ ხალხს უნდა დაეხმაროს“, - ამბობს დეპუტატი ზურაბ ჯაფარიძე.

აღსანიშნავია, რომ for.ge-ს მიერ ჩანერილი დეპუტატებიდან ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ერთადერთი კანონმდებელი აღმოჩნდა, რომელმაც ასირიელი ბავშვების შეფარების სურვილი გამოთქვა. დუმბაძის მტკიცებით, ის 501-ე ადამიანი იქნება, ვინც საკუთარ ოჯახში რამდენიმე ადამიანს მიიღებს, გამოკვებავს და მანამდე მოუვლის, სანამ სირიაში ვითარება არ დაწყნარდება.

საქართველოში ასირიელი ბავშვების ჩამოყვანის საკითხზე მსჯელობა გასულ კვირას მას შემდეგ დაიწყო, რაც მოსკოვში ქსელების საშუალებით ვოტოები გავრცელდა, თუ როგორ კლავენ ქრისტიან ბავშვებს. 14 აპრილს სოციალური ქსელით პეტიციაც გავრცელდა, რომლის საშუალებითაც საზოგადოების ნაწილი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს ასირიელი ოჯახები შეიფაროს.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლიდან სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. გაეროს მონაცემების, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 9 მილიონს გადააჭარბა. მათსავე მეტი მოზარდი და ბავშვი გარდაიცვალა. გასულ წელს შეიქმნა ისლამური ტერორისტული დაჯგუფება ISIS, რომელმაც სირიასა და ერაყში მოსახლეობის მასობრივი დევნა დაიწყო.

თეონა მანაბაძე

„რომის პაპზე უფრო კათოლიკეები ნუ ვიქნებით!“



განუშვარტეთ, რომ აღნიშნული ციფრები დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ დაასახელა, დეპუტატმა გვიპასუხა, რომ მინისტრს ეს ინფორმაცია „რომელიც გამოიშვინა“ უფროა.

დეპუტატის შეფასებით, სირიაში ძალიან ცუდი ამბები ხდება, მაგრამ ბოლო დღეების განმავლობაში, რამდენიმე ფაქტობრივი ცნობები და ძველი ფოტო გამოქვეყნდა, რომელიც სირიაში არსებულ დღევანდელ სიტუაციას სრულად არ ასახავს.

„500 კაცმა მამაოს უთხრა, რომ ბავშვებს უმასპინძლებენ? ამის რეგისტრაციას მამაო აკეთებს? მათ სოლიდარობა აუცილებლად უნდა გამოვუცხადოთ და ჩვენი აღზოვობა გამოვხატოთ, მაგრამ რომის პაპზე

ვოტოები გავრცელდა, თუ როგორ კლავენ ქრისტიან ბავშვებს. 14 აპრილს სოციალური ქსელით პეტიციაც გავრცელდა, რომლის საშუალებითაც საზოგადოების ნაწილი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს ასირიელი ოჯახები შეიფაროს.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლიდან სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. გაეროს მონაცემების, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 9 მილიონს გადააჭარბა. მათსავე მეტი მოზარდი და ბავშვი გარდაიცვალა. გასულ წელს შეიქმნა ისლამური ტერორისტული დაჯგუფება ISIS, რომელმაც სირიასა და ერაყში მოსახლეობის მასობრივი დევნა დაიწყო.

ავტოზაზარი

ავტოდილერებს მეტი „სამოძრაო“ დრო ექნებათ

მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტს საქართველოს ეკონომიკაში წლების მანძილზე ერთ-ერთი ნაწილი ადგილი უკავია, მასში რამდენიმე ათასი კაცია დაკავებული და თუ ამ ხალხის ოჯახის წევრებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ბიზნესის ამ სექტორის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გააქვარებით შეფასება, უბრალოდ, შეუძლებელია. ბოლო დროს აზერბაიჯანში მეორად ავტომანქანებთან დაკავშირებით შემოღებული რეგულაციები, რომელთა მიხედვით მკაფიოდ განისაზღვრა ქვეყანაში შემოსავანს სატრანსპორტო საშუალებათა სწორი რაოდენობა, რამაც ამ ბიზნესზე მკვეთრად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, რადგან რეექსპორტის მოცულობა მესამედზე მეტად შემცირდა. სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს მთავრობაში ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შეიმუშავეს, რომლის მიზანია ამ საქმით დაკავებულთათვის გარკვეული დახმარების აღმოჩენა.

ავტომანქანების რეექსპორტით დაკავშირებული თვითონ გარკვეული ხელშეწყობის პროექტზე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალისტები რამდენიმე თვეა, მუშაობენ. ამ მიზნით, როგორც ამასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, საგადასახადო კოდექსში საგადასახადო

პროცედურების შეცვლა და მათ გამარტივება იგეგმება. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ საკითხზე მუშაობა ამ საქმიანობით დაკავებულ პირებთან გარკვეულ კონსულტაციებზე ითვალისწინებს.

სადღესოდ მსუბუქი მექანიკური გადაადგილების საშუალებათა ვაჭრობის ხელშეწყობის გეგმა საგადასახადო კოდექსში რამდენიმე ძირითადი პუნქტის ახლებურად ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. კოდექსში ცვლილებათა პროექტის თანახმად, საქართველოში 2015 წლის 1 აპრილამდე შემოტანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წლებად 1 სექტემბრამდე მათ გაფორმებას უზრუნველყოფენ (ანუ მას ან იმპორტის რეჟიმში მოაქცევენ, ანდა რეექსპორტით გაიყვანენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ).

აღნიშნულთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურში აღნიშნავენ, რომ ახალი რეგულაციის ამოქმედებით, იმპორტიორებს უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანები, სულ მცირე, ათასი ლარით უფრო იაფი დაუჯდებათ, რაც მათ გასაყიდი ფასის შემცირების შესაძლებლობას მისცემს, ეს კი, თავის მხრივ, პოტენციურ მყიდველთა არეალს საგრძობლად გააფართოებს.

თუ საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზე კონკრეტულად ვილაპარაკებთ, პროექტის მიხედვით, საქართველოში იმპორტის რეჟიმით შემოყვანილი ავტომანქანის საბაჟო საფასურის გადახდის გარეშე ყოფნის ვადა 45-დან 60 დღემდე გაიზრდება. ასევე გაუქმდება იმპორტიორთათვის დაწესებული ჯარიმები აღნიშნული ვადიდან 90-დღიან ვადაში გამოუცხადებლობის გა-



მო. კიდევ ერთი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ თუკი ავტომანქანის იმპორტიორი მისი 90-დღიან ვადაში გაყიდვას ვერ მოახერხებს, საბაჟო რეჟიმში ავტომანქანის გათავისების პირო-

კრიზისალი

ამოღებულია დიდი ოდენობით პარიონი

შსს-მ 11 შეკვერა ჰეროინი ამოიღო. უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლელი ლეოლა ლ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით ფოტში დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრევისას 1 შეკვერად დაფასოებული, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრევისას 10 შეკვერა ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 2,0872 გრ ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც 0,87566 გრ ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

თბილისში „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი გააჩვენა

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი გააჩვენა. შემთხვევა დაახლოებით გუშინ, 10:00 საათისთვის მოხდა. ადგილზე საპატრულო პოლიცია, ასევე ექსპერტ-კრიმინალისტიები იმყოფებოდნენ.

როგორც „ლიბერთი ბანკის“ პრესსამსახურში განაცხადეს, ჯერჯერობით ზარალის ოდენობა არ იცინა. არსებული ინფორმაციით, ბანკის ფილიალს თავს ერთი პირი დაესხა.

თაღლითი ვაჭარის დასაწყისი

ძრთამის ადების და სამსახურებრივი სივალბის ფაქტზე, „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ კახეთის რეგიონული სამმართველოს ვეტერინარი გივი ლუაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გარკვეული თანხის სანაცვლოდ, კანონდებლობით დადგენილი წესების დარღვევით, მოქალაქეებზე სისტემატურად გასცემდა ყალბ ვეტერინარულ მოწმობებს, ისე რომ რეალურად არ ამომწებდა, იყო თუ არა ვარგისი პროდუქცია.


საგამოძიებო სამსახურის ცნობით, შეუმომწებელი ხორცი სარეალიზაციოდ სვდებოდა სავაჭრო დასახლებაში.

დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9-წლამდე.

რეკლამა მაგაზინის №7. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87; 568 82-09-84..

მუსიკალური ძველმომედევა

თათია შარანგია თბილისის
შედეგ ვაშინგტონში, ლონდონსა
და პარიზში დაუკრავს



ორ წელიწადზე მეტია, თათია შარანგია საავტორო კონცერტი არც მინახავს და არც მომისმენია. საპატიო მიზეზების გამო (ეს ატმის ყვავილივით მომწუსხველი გოგონა ორი ვაჟის დედა გახლავთ) მუსიკისთვის დიდ დროს ვერ პოულობდა, არადა, პროფესიული პასუხისმგებლობა ბავშვობიდანვე სულსა და გულში აქვს გამჯდარი... თუ ვერ პოულობ (პარიზულ) დროს ვერ არ მოემზადა, მაყურებელსა და მსმენელს არ დაენახებოდა. სიმართლე თუ გინდათ, ეს ის გრძობაა, რომელიც კოლხური მოკრძალებიდან და მშობლებთან ერთად ქართველი მასწავლებლებიდან მოსდგამს.

კვლევაგონა 25 წლისა გახდა) საქველმოქმედო კონცერტით წარსდგა ქართველი და თბილისის სტუმარი უცხოელი მამულებლის წინაშე. რახან სიტყვა საქველმოქმედო ვახსენე, აქვე განვმარტავ, რომ თათია შარანგია და მისმა მეუღლემ სანდრო შელიამ დააფუძნეს ფონდი „ნათელი საქართველო“, რომელიც მიზანმიმართულად იზრუნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მათი უფლებების დასაცავად. დამეთანხმებით, ასეთი საქველმოქმედო ფონდი მართლაც ნანინანატრი სქემა ჩვენი დუხჭირი ქვეყნისა და მისი ბუნებისგან დაჩაგრული ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის.

რუსთაველის თეატრში თათიამ ბეთჰოვენის ორი და შოპენის ოთხი ურთულესი ნაწარმოები წარმოგვიდგინა. არ შეცდები თუ ვიტყვი, რომ ეს იყო უნაკლო შესრულება, პროფესიონალიზმის ნიმუში, ამაღლებული სულის და განწყობის მომნიჭებელი კონცერტი, ქალური კდე მამოსილების და სისადავის ზეიმი.

კონცერტის სპონსორ-პარტნიორები იყვნენ თვით რუსთაველის თეატრი, რადიო „ფორტუნა“, „MSG roup“, Deoitte, First step Georgia.

ხელოვნების მიზანი ხომ, დიდი კოტე მარჯანიშვილისა არ იყოს, ძალიან უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას სიმხევე...
ჯანმრთელობა, მხნეობა და მაყურებლის გახარების ნიჭი არ მოგიშალოს შარანგიას კობტა ქალო, კლასიკური მუსიკის კეთილი ჯადოქარი! თბილისის შემდეგ თათია შარანგია ამერიკაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში დაუტრავს... ეს უკვე საქართველოს სახელია...

სპარტაკ ქოშულია

ციცხალი ანკდოტაჰი

ფარწარული ტილოს შექმნის მსურველმა ენა-მოსწრებულთა ცნობილ მხატვარს სტუდიაში მიაკითხა, ნაშუვერები ძალიან დიდხანს ათვალეირა და მერე ვუბნება:
— იქნებ თავად შემომთავაზოთ რამე, ზეთში და იაფად?
— თუ გნებავთ, აგერ „შპროტი“ მაქვს, ბატონო!
* * *
— აბა, ბატონო, რას უჩივით? — ეკითხება თვალის ექიმი პაციენტს.
— იცით ექიმო, ბოთლს ჯერ კიდევ ვხედავ, აი ქიქას კი ველარ!

- ღვინოს, არაყს სვამთ?
- ვსვამ, ექიმო.
- სშირად?
- რა ვიცო... არა.. დღეგამოშვებით.
- რამდენს?
- ზუსტად ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ რამდენჯერაც დავლივ, იმდენჯერ არ მეყო!

ორი ლიტერატურული კრიტიკოსი ხვდება ერთ-მანეთს:
— ახალი ამბავი თუ იცი, ჩემო სიმონ? კარგი საყოფაცხოვრებო ყოფაქცევითის და სწორი პოლიტიკურ-სოციალური ორიენტაციისთვის მწერალი ჩ.მ.-ი კლასიკოსად დააინაურეს!



ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA მანაბლის ძ. №7 ინდექსი 66434

გამომცემეზი: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიზაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიანი 599 17-21-21; სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაიძე 514 33-33-24

ყურადღება!

2015 წლის 24 აპრილს (პარასკევს), 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან 20 წლისადმი მიძღვნილი გაფართოებული საზეიმო სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თეიმურაზ პაპუნაშვილი თემაზე: „საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან 20 წლის განმავლობაში განუწეული საქმიანობის შედეგები და პერსპექტივები“. სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის გამზ. 47, VI სართული). დასრდება თავისუფალია. აკადემიის პრეზიდენტი

დედაჩინა და ჩვენი


ჯობს ისე „ეპინოს“...

მეცნიერებმა დიდი ხანია, იცინ, რომ კაცობრიობა გამუდმებით მრავალი საფრთხის წინაშე დგას როგორც კოსმოსიდან, ასევე დედამიწის ატმოსფეროსა და წიაღიდან. კოსმოსური საფრთხეები მოაქვს უზარმაზარ რადიაციას, რომლისგან, უწინარესად, ჩვენი პლანეტის მაგნიტური ველი გვიცავს, მზის აქტივობას, სხვადასხვა ზომის ასტეროიდებს, რომელთაგან თავდაცვის ხერხები ჯერჯერობით არ გააჩნია. ატმოსფეროში მიმდინარე ხშირად მძვინვარე მრისხანე პროცესებს — დამანგრეველ ტორნადოებსა და ქარიშხლებს ყოველწლიურად აუარება უბედურება მოაქვს ისევე, როგორც ხანძრებს, რომლებმაც ხშირად სხვადასხვა ქვეყნების უზარმაზარ ტერიტორიებს ანადგურებენ. უდიდესი საშიშროება იმალება პლანეტის წიაღშიც, რომლის სეისმური აქტივობის შედეგებია ვეებერთელა ცუნამები, ვულკანური ამოფრქვევები, რომელთა წინაშე კაცობრიობა ასევე უძლურია. ცნობილია, რომ დედამიწის 4,5 მილიარდი წლის გეოლოგიურ ისტორიაში არაერთი პლანეტარული კატაკლიზმი მომხდარა, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველა ცოცხალი ორგანიზმი განადგურებია. ზოგიერთი მათგანის ბუნებისა და წარმოშობის მიზეზების შესახებ მეცნიერებები მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ, თუმცა კი, ზოგის შესახებ გარკვეული ცოდნა გააჩნიათ. ასეთთა რიცხვს ვულკანური აქტივობაც განეკუთვნება.

აქტიური პროცესები დაიწყო: ჯერ იყო და მის მახლობლად დაახლოებით 6 ბალის სიმძლავრის რამდენიმე მიწისძვრა მოხდა, ხოლო შემდეგ ტემპერატურამ კრატერში ცელსიუსის +20 გრადუსს გადააჭარბა. მეცნიერთა განგაშს ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ ვულკანის შემოგარენს მასობრივად ტოვებენ გარეული ცხოველები და ფრინველები, რაც ძალიან ცუდი ნიშანია, ასეთი მოქცევა ყოველთვის მოსალოდნელი ამოფრქვევის უტყუარი ნიშანია. ყველა ამ სიმპტომით თუ ვიმსჯელებთ, ახლო მომავალში იელოუსტოუნის სუპერ-ვულკანის ამოფრქვევა მოსალოდნელი, რომელმაც, შესაძლოა, სრულად წალკოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის უზარმაზარი ტერიტორიები. თანაც ეს საფრთხე მართო ჩრდილოეთ ამერიკას კი არ ემუქრება — გიგანტური ვულკანის ამოფრქვევა ერთიანად დედამიწასაც კარგ არაფერს უქადის. საქმე ის არის, რომ ვულკანიდან ატმოსფეროში ამოფრქვეული ფერფლი მზეს ოთხი წლით დაფარავს და მთელ ქვეყანას სრული წყვიდადი მოიცავს აქედან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით: გადაუღებელი მზავე წვიმები მთელ ფლორასა და ფაუნას განადგურებს, კაცობრიობას კი, უკეთეს შემთხვევაში, საშიშროლოდ განირავს. ეს კომპარული მომავალი დედამიწის უკლებლივ ყველა რეგიონს ემუქრება და ამ ფონზე მეტად საგულისხმოა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სხვებთან შედარებით ყველაზე ნაკლები ზარალი ციმბირს მიაღებება.

დედამიწაზე ათასობით ვულკანია, ზოგი მათგანი ჩამქრალია, ასე ვთქვათ, „მიძინებულ“, ზოგიც აქტიური. მათგან ყველაზე დიდი და საზიფათო ეგრეთ წოდებული „სუპერ-ვულკანი“ ამერიკის შეერთებულ შტატებშია, აიდახოოს შტატის იელოუსტოუნის ეროვნულ პარკში. მას იმხელა ყელი აქვს, რომ მასში თავისუფლად განთავსდება ორი ტოკიოსხელა ქალაქი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი მეგაპოლისია! ათათასობით წლის მანძილზე გამდნარი მავმა ვულკანის შიგნით გროვდება და ზუსტად არავინ იცის, თუ როდის შეიძლება ამოხეთქოს.

თუმცა კი, მრავალი ვულკანოლოგი იმასაც აცხადებს, რომ პანიკისთვის საფუძველი, ჯერჯერობით მაინც, არ არის, რადგან კატასტროფის უტყუარი ნიშნები ამჟამად არ შეინიშნება. მართალია, მისი ალბათობა არსებობს, მაგრამ ასეთ შემძლავრ ამოფრქვევას, ჩვეულებრივ, ძლიერი ვულკანური სეისმოლოგიური აქტივობა უძღვის წინ, რაც ძლიერი მიწისძვრების სერიით ვლინდება ხოლმე. ასეთი ამოფრქვევა შეიძლება იმას შეეადაროთ, რომ დედამიწას უზარმაზარ ასტეროიდთან შეჯახების საფრთხე წარმოუშვას. როგორ შეეძლებოთ ამ საფრთხის თავიდან აცილებას? ამის პასუხი, სამწუხაროდ, არ გაგვანჩია...



ოთარ ტურაბალიძე